მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N36 (9252) 29 დეკემბერი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

შობა-ახალი წელს გილოცავთ!

ისე აენთო, როგორც არასდროს, საჩხუბრად და საკამათოდ კი არა, საახალწლოდ აენთო სამტრედია. თუ თბილისის მერიამ 3 მილიონი ლარი დახარჯა, ევროპული ქალაქების მსგავსად, დედაქალაქი საახალწლო ილუმინაციებით გაეჩახჩახებინა, ეს ჩვენთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა. კალაძემ ხელი გაგვიმართა და მეორადი სანათები დროებით სარგებლობაში გადმოგვცა.

მოკლედ, მოდის ახალი, 2018 წელი და იმედი არ მოგვიშალოს ღმერთმა, ჯანის სიმრთელე, შრომის უნარი, ხვავი და ბარაქა!

მარტო ოცნებით ფონს რომ ვერ გავალთ, ამას "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლამდეც მივხვდით ქართველები, ამიტომ გუდა-ნაბადი დროზე ავიკარით და მთელ დედამიწას მოვედეთ. ნოსტალგია გვკლავს, მაგრამ, სამაგიეროდ, შინდარჩენილებს აღარ შიათ და სწყურიათ.

მამლის წელმა ბევრი სასიამოვნო და უსიამოვნო ფაქტი, მოვლენა და სიურპრიზი მოგვიტანა. საახალწლო განწყობა რომ არ გაგიფუჭოთ, აღარაფერს ვიტყვი გახმაურებულ მკვლელობებზე, ძარცვაზე, ყაჩაღობაზე, მოძალებულ აგრესიაზე, ტერაქტებზე, მსხვერპლზე, მიწისძვრებზე მსოფლიოში. ცეცხლწაკიდებულ ტყეებზე საქართველოში, ტერაქტის მცდელობაზე თბილისში, "ციანიდის საქმეზე", "ლურჯ ვეშაპზე", ოვითმკვლელობებსა და დაკარგულ მოზარდებზე, ისევ და ისევ უმუშევრობაზე, სოციალურად დაუცველთა პრობლემებზე, დაკარგულ ტერიტორიებზე, მავთულხლართებს იქით დარჩენილ ჩვენს მიწა-წყალზე, ლარის კურსის ვარდნაზე; იმაზეც, პუტინი რომ ისევ გაპრეზიდენტდება, ერთი მილიონი ჯარისკაცის ნაცვლად მალე ორი მილიონი რომ ეყოლება. არასდროს რომ გვაპატიებს ნატოსკენ სწრაფვას, ამერიკის მიერ უახლესი საბრძოლო ტექნიკის ჩვენთვის გადმოცემას, ეს და კიდევ ბევრ სხვას.

მგონი, მაინც გავაფუჭე საახალწლო განწყობა, მაგრამ ასეთია ჩვენი რეალობა.

მართალია, ოპოზიცია მუდმივად კრიჭაში უდგას ხელისუფლებას, იქამდეც კი, რომ კვირიკაშვილ-მელიას ინციდენტმა, ლამის, ყველა მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენა გადაფარა, მაგრამ ამ წელს ამოქმედდა ვიზა-ლიბერალიზაცია. ჩავატარეთ ოვითმმართველობის არჩევნები და გამგებლები და გამგეობები მერებით და მერიებით შევცვალეთ. კიდევ უფრო აქტიური გავხადეთ პოლიტიკური საქმიანობა ამერიკასთან, ევროპასთან, თურქეთთან. წინა საახალწლოდ მომავალი ურთიერთობების გასამყარებლად სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანიც გვეწვია.

რამდენიმე დღის წინ კი ქართველმა მართლმადიდებლებმა პატივი მიაგო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელსაც აღსაყდრებიდან 40 წელი შეუსრულდა.

ხელი მოვაწერეთ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. დაანონსდა ხელისუფლების ე. წ. ოთხპუნქტიანი გეგმა, რასაც განსაკუთრებით სივრცითი განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მთელი კასკადი მოჰყვება. გაიხსნა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, დაიწყო "ანაკლიის განვითარების კონსორციუმი", ტურიზმისგან შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ახალმა მთავრობამ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა, პრიორიტეტად განათლება, ჯანდაცვა და ინფრასტრუქტურა დაასახელა.

ის, რაც ქვეყნისთვის პრიორიტეტია, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვისაც პრიორიტეტია. არჩევნებიც ჩავატარეთ, ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც ვახორციელებთ, განათლებაზეც ვზრუნავთ, კულტურაზეც და შეჭირვებულ ადამიანებზეც. და კიდევ, ბრაზილიური სერიალები თურქულმა სერიალებმა ჩაანაცვლა. _ ეს ისე, ხუმრობით! სინამდვილეში კი თურქეთთან მეგობრობა ნამდვილად წაადგა ჩვენს ქვეყანას.

2018 ყვითელი ძაღლის წელიწადია, რომელიც მშვიდობას, სამართლიანობასა და ძაღლივით ერთგულებას გვპირდება.

შობა-ახალი წელი მოგვილოცნია, მრავალს დაესწარით!

ქეთევან ჭელიძე

ჰარმონიული, მშვიდი და ნაყოფიერი წლის მოსალოცად!

თეა ბაბუნაშვილი

თუ რამე დაეჯერება, არადა, დაეჯერება კი არა, ესაა სამყაროს განმსაზღვრელი, ასტროლოგები ამბობენ, დამდეგი ახალი წელი ჰარმონიული, მშვიდი და ნაყოფიერი იქნებაო. ყვითელი ძაღლის წელიწადის სახელით მონათლული 2018, ფეხბედნიერი შემოვა 31 დეკემბრის ღამეს. ძაღლურ ცხოვრებას კარგა ხანია შეჩვეულ მოსახლეობას მხოლოდ კარგი კუთხიდან დაანახვებს თავს, სამოავრობოებისა და არასამოავრობოების მხრიდან დაცული უფლებებისა და უდარდელი ყოფით განებივრებული ძაღლის ცხოვრებით აცხოვრებს ეჭვალტირებულ, სიღარიბისაგან გაბოროტებულ და ცინიზმით სავსე ყოფიერებას. ერთია, არა მხოლოდ წელს, ყვითელი მოდურ ფერად კარგა ხანია იქცა და მარტო მედიისთვის არა, "ხასიათიც ცოტა მჟავე" არა მხოლოდ "ლიმონას", ბევრ სხვასაც ვაუხდა. ჰო, "ყვითელი და მჟავე კიტრიცაა", მაგრამ ... არც უკიტრობაა და არც ულიმონობა.!

კეთილი სურვილების ახდენის იმედი, ასტროლოგების პროგნოზით გამაგრებული, გვპირდება, რომ: "ამ წელს ადამიანები უფრო ტოლერანტულები, გამგებიანები და დიპლომატიურებიო გახდებიან. წინ წამოიწევს ჰუმანურობის, საყოველთაო ძმობისა და კაცთმოყვარეობის ტენდენცია." ქართველები იმის მომსწრენიც ხშირად არიან, "ძაღლი რომ ყეფდა და ქარავანი მიდიოდა", მაგრამ საბოლოოდ ძაღლი მაინც ერთიგულების და საიმედოობის სიმბოლოა. ჰოდა, გილოცავთ, კეთილად დაგებედოთ! ისევე როგორც ყველა წელიწადს, წელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიების ლიდერების საახალწლო სურვილებსა და დაპირებებს ჩვენც ვუერთდებით, გილოცავთ, ბედნიერად დაგებედოთ!

გია მიქელაძე _ საქართველოს პარლამენტის წევრი: "ჩემო ძვირფასო სამტრედიელებო! გილოცავთ დამდეგ 2018 წლის შობა-ახალ წელს! ეს წელი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისთვის ხვავისა და ბარაქის, სიხარულისა და ბედნიერების, ჯანის სიმრთელისა და სიკეთის მომტანი."

ვალერიანე ფოცხვერია _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: " ვულოცავ სამტრედიასა და მთელ საქართველოს შობა-ახალ წელიწადს. ხვავი და ბარაქა დაებედოს ყველა ქართულ ოჯახს. სულიერი სიმშვიდის და კეთილდღეობის წელი დამდგარიყოს. დარწმუნებული ვარ, უკეთეს სამტრედიასა და საქართველოში ვიცხოვრებთ. ადგილობრივი ხელისუფლება ცდას არ დაკლებს სამტრედიის კეთილდღეობას.

ნუგზარ ჯამბურია _ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: "გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, წარმატებებს, ხვავსა და

ბარაქას აევსოს თქვენი ფუძე-კარი. შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტს ამ წლისთვის ღირსეული ბიუჯეტი აქვს მიღებული იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც დღეს მისი მოსახლეობის წინაშე დგას. ყველა პრობლემა ერთიანად არც არასდროს მოგვარებულა და არც არასდროს მოგვარდება. მთავარია, მცდელობა და სურვილი, კეთილი ნება მათი გამოსწორებისა. ლხინისა და ლხენის წელი დამდგარიყოს ქვეყანაში!"

კობა ძიძიგური _ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: "გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. განსაკუთრებით ქრისტეშობა მინდა მოგილოცოთ, რადგან ამ უდიდესმა მოვლენამ სათნოება, სიკეთე და სიყვარული შემოიტანა დედამიწაზე. როგორც ამბობენ, შობის საოცარ ღამეს არც ერთი სულიერი ერთმანეთს არ ერჩოდა, მაგალითად, მგელი ცხვარს არ სჭამდა და ა.შ. რაც შეეხება საკრებულოს და მასში ჩემს საქმიანობას, ვცდილობდით და ვეცდებით, კარგად დამუშავებული საკითხებით, სწორი გათვლებით ყველაფერი გავაკეთოთ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის. ვფიქრობ, ისევე როგორც წინა, ადგილობრივი საკრებულოს ახალი შემადგენლობაც, ყველაფერს გააკეთებს საქმიანი სიტყვისა და სამართლიანობის დასაცავად."

ირაკლი სულავა _ მერის პირველი მოადგილე: "მართალია, ახალი კადრი გახლავართ ამ პოზიციაზე, მაგრამ ეს არ ცვლის იმას, რომ აღებული პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობით უნდა შევასრულო. მომავალი წლის ბიუჯეტი მოსახლეობის განცხადებებსა და სურვილებს მორგებული დაგეგმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. განხორციელდება ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, რომლებიც მალე-ვე გახდება თვალხილული მოსახლეობისათვის. დავაკონკრეტებ მხოლოდ იმას, რომ მომავალი წლისთვის ქალაქში წყლის გამტარიანობის პრობლემა არ უნდა იყოს! რაც შეიძლება ნაკლები პრობლემებით და მეტი პოზიტივით დაგვებედოს ახალი წელი, აკვნის სიმრავლე და ფუძის სიძლიერე არ მოშლოდეს ქართულ ოჯახებს. გამრავლება და გახარება მოეტანოს დამდეგ ახალ წელიწადს!"

დავით ბახტაძე _ მერის მოადგილე: "მრავალფეროვან და მნიშვნელოვან სფეროს ვკურირებ, რომელსაც გამოცდილი მენეჯერის ხელი სჭირდება. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის, ასევე ჯანდაცვის საკითხებს. ყველა მათგანი განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ყველა ამ სფეროში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გარკვეული რეფორმები იგეგმება. განსაკუთრებული ყურადღება მინდა განათლების სფეროს მისამართით გამოვხატო და რაც სამტრედიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვიზრუნო ტურიზმის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის. სულიერ სიმშვიდესა და ჯანმრთელობას ვუსურვებ სამტრედიის და სრულიად საქართველოს მოსახლეობას. ცუდი და ნეგატივი წარსულში დარჩენილიყოს და მხოლოდ პოზიტივისთვის ყოფილიყოს ადგილი ამ ახალ წელიწადს!"

ლიზა კრავეიშვილი _ საკრებულოს წევრი: "გულითადად ვულოცავ ახალი წლის დადგომას ჩემს სამტრედიასა და საქართველოს. ჩემს ბავშვობაში, ისე როგორც დღეს, გაშლილ სუფრასთან პირველ სადღეგრძელოდ მშვიდობის სადიდებელს სვამდნენ. მაშინ ამას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ახლა, 21-ე საუკუნეში, როცა ადამიანის გონებასთან ერთად და მისი წყალობით ტექნოლოგიები ამდენად არის განვითარებული, ყველაზე აქტუალური სწორედ მშვიდობა გახდა. შიდა დაპირისპირებების, ტერორის, ომების ფონზე ეს უპირველესია. მშვიდობას, ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას ვუსურვებ ყველა ოჯახს. მე სოციალურ ფენას ვხელმძღვანელობდი და ვიცი, როგორც არასდროს ისე უჭირთ დღეს ადამიანებს, გაღატაკდა ქვეყანა! მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ინვესტიციები მეტი შემოდის ქვეყანაში, თავი და თავი ადამიანის დასაქმება, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავებაა. საქართველო დღეს თითქმის იმპორტზეა დამოკიდებული და

ასე გაგრძელება არაფრით არ შეიძლება. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობის ახალი წევრი ვარ, გარედან ჩანს, რომ ეს პოზიცია მარტივია მაგრამ თუკი იმუშავებ, საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა. ვეცდები, ჩემი სათქმელი აქედანაც ვთქვა. მოსახლეობას კი ვუსურვებ, ქვეყნის კეთილდღეობა მათაც დასტყობოდეთ. დამდეგი დღესასწაულები თქვენს გაზეთს და მთელ კოლექტივსაც დიდი სიყვარულით მინდა მივულოცო. ნაყოფიერი წელი ყოფილიყოს მთელი ქვეყნისთვის!"

მანანა სირბილაძე _ საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე: "იურისტი ვარ და პროფესიიდან გამომდინარე რომანტიზმსა და სენტიმენტალიზმს ცოტა დავშორდი, ჩემი ლექსიკაც საკმაოდ მძიმეა, მაგრამ გულჩვილი ვხდები, როცა ამგვარ მილოცვებზე მიდგება საქმე, განსაკუთრებული წელი ყოფილიყოს 2018. სიუხვე, ბარაქა და ჯანმრთელობა ჩემს ქვეყანას და სამტრედიას! ვისურვებ, არც ერთი შვილი არ იყოს გროშებისთვის გადახვეწილი დედის გარეშე, მეუღლეებს ცალად ყოფნა არ დასჭირდეთ ოჯახის სარჩენად, დედებს შვილების სიმწარე არ ენახოთ, მოძალადეები არ გაზრდილიყვნენ ისინი. ეს კი უმეტესად იმიტომ ხდება, რომ შვილები მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ ვერ იზრდებიან. სამსახურიდან სახლში შრომით დაღლილები, მაგრამ სასიამოვნო ემოციებით დახუნძლულები მივსულიყავით. სხვა საქართველოში გვეცხოვროს, გაბადრულში, მშვიდსა და იმედიანში! ამჯერად ჩემს მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთხელ არ შემოსულა განსაკუთრებული უსამართლობის, ჩაგვრის ფაქტების შემცველი საჩივარი. არ ვიტყვი, რომ ასეთი არ ხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაგრამ, ალბათ, არც ისეა საქმე, როგორ სურათსაც ზოგიერთები დებენ. ზოგადად, მეტ-ნაკლებად გენდერიც დაცულია და სხვა საკითხებშიც გვაქვს ნათელი წერტილები. ქალისადმი მოკრძალება და ურთიერთპატივისცემა თუ საქართველოში არა, აბა, სად იციან! ერთია, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა ვცეთ პატივი და სხვების პატივისცემას ბუნებრივად დავიმსახურებთ."

ტარიელ დვალიშვილი _ უმრავლესობის ლიდერი საკრებულოში: "გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ასეა თუ ისე, საახალწლოდ ყველა ოჯახშია დოვლათი და მთელი წელი ასე დოვლათიანი ყოფილიყოს ყველასათვის. წინა მოწვევის საკრებულომ კარგად გაართვა თავი აღებულ პასუხისმგებლობას. ვისაც დანახვა უნდა, დაინახა ეს, ვისაც არ უნდა და მაინც არ დაინახავს. ახალი საკრებულო ამჯერადაც ეცდება ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულოს. ჯანმრთელობა და ბედნიერება დაებედოს ჩვენს ქვეყანას!"

კამო კანდელაკი _ "პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი, საკრებულოს წევრი: " უპირველესად ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას და მშვიდობიანი წელიწადის დადგომას ვუსურვებ სამტრედიას და სრულიად საქართველოს. საკრებულოს წევრის ამპლუაში ჩემს ამომრჩეველს სამტრედიის საკეთილდღეოდ ზრუნვას ვპირდები. მე ეთიკის ყველა ნორმის დაცვით, კრიტიკული მიდგომები მქონდეს ხელისუფლების ქმედებებზე."

“სამტრედიის მაცნეს” ყველაფერს

მოვიდა ახალი წელი _ განახლების, ახალი საქმეების კეთების დრო. თუმცა, ვისაც ახლა ახალი წელი და შობა უნდა მივულოცო, ის სულ განახლებაშია და სასიკეთო საქმეების კეთებისთვის ახალ წელს არ ელოდება. საუბარია გაზეთ “სამტრედიის მაცნესა” და მის ხელმძღვანელზე, ბეჟან გოგიაზე, მის მეგობარ-კოლეგებზე, რომლებიც ისე მოქმედებენ, როგორც ერთი ადამიანი. რაც მთავარია, “სამტრედიის მაცნე” მხოლოდ გაზეთი არ არის, აქედან იწყება ყველა კულტურული სიახლე რაიონში. აქ იბადება უამრავი ინიციატივა. ბატონო ბეჟან და “მაცნეელებო”, მადლობა, რომ ძალასა და ენერგიას არ იშურებთ რაიონში კულტურული ცხოვრების ასაღორძინებლად. ფართოდ უღებთ რედაქციის კარს ყველა კარგი იდეის ავტორს და ცდილობთ განახორციელოთ ისინი მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ. მოგესალმები და მივესალმები თქვენი რედაქციის ყველა წევრს, ჩინოსანს და უჩინოს. ბედნიერება მოეტანოს შობას და ახალ წელს თითოეული თქვენგანის ოჯახისათვის. “სამტრედიის მაცნეც” ხომ თქვენი ოჯახია. ნაწილობრივ ვიცი თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ და მიგულეთ თქვენს გვერდით! ძალა იყო და არის ერთობაში. ერთად უკეთ შევძლებთ სიკეთის ქმნას. სიკეთის ქმნა კი გადამდებია. დაგბედებოდეთ სიკეთე და წარმატებები.

ამირან ბუთურიშვილი
კავკასიის საერთაშორისო ფესტივალების ასოციაციის თავმჯდომარე, ჟურნალისტი

“სამტრედიის მაცნეს” მთელ კოლექტივსა და ბატონ ბეჟან გოგიას გილოცავთ ახალ 2018 წელს. წარმატებები თქვენს საინტერესო საქმიანობაში. მიყვარხართ, გეფერებით!

თეიმურაზ ლეკვეიშვილი, დუსელდორფი, გერმანია.

როდესაც საქართველოში დავბრუნდები, აუცილებლად ვთხოვ ბატონ ბეჟან გოგიასა და “სამტრედიის მაცნეს” სარედაქციო კოლეგიას, რომ ერთი კვირა მამუშაოთ თქვენს მშვენიერ გაზეთში. როგორც უდაბნოში წყალს, ისე ვარ მონატრებული სტამბის სუნს, ჟურნალისტურ თავგადასავლებსა და უბრალო, მართალ ადამიანებთან შეხვედრებს... ნაპოლეონ ბონაპარტე ამბობდა: “ათას ხიშტზე მეტად სამი გაზეთის მეშინიაო”. მეოთხე “სამტრედიის მაცნე” ყოფილიყოს, ძლიერი და მართალი, თავის ხალხს გაჭირვებისას გვერდით რომ დაუდგება და ნებისმიერ უსამართლობას შეებრძოლება, მრავალ შობა-ახალ წელსა და გამარჯვებებს გისურვებთ!..

ბონდო ქურდაძე, გაზეთ “შანსის” ყოფილი მთავარი რედაქტორი, პოლიტიკური ემიგრანტი, პარიზი.

კეთილ საქმეს აკეთებს “სამტრედიის მაცნე” და ვულოცავ შობა-ახალ წელს, სიხარულს და მკითხველთა სიმრავლეს ვუსურვებ! იხარე “სამტრედიის მაცნევ”, თანამშრომლებო, ამ გაზეთის მკითხველებო, ყველას გილოცავთ ახალ 2018 წელს!

თქვენი ზაალ სულაკაური

ამ ჩემი ლექსით შობა-ახალ წელს ვულოცავ ბეჟან გოგიას, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” ყველა თანამშრომელს და მეგობარს.

ახალი წლის თეთრი ღამე,
ფანტელები, ფანტელები,
ღამე რბილი საფიქრალის,
თეთრი ღამე გათენების...
ღამე, ღამე ნატვრისთვალა,
ღამე ნათელი და წმინდა,
თეთრი ღამე, როცა ყველას
აგვისრულედეს რამე გვინდა...
აბა, რა გვინდა მეტი _
ცოტა გვწყალობდეს ბედი...
თოვლივით რომ არ გადნეს
ოცნება და იმედი...
სიმღერა იყოს ტკბილი,
ახალი წლის დანაბედი,
აბა, რა გვინდა მეტი _
გვიყვრდეს ერთმანეთი!

თემურ ცაგურია
მომღერალი, ვაშინგტონი

“სამტრედიის მაცნევ”, გმირი ხარ შენ ბაბუ! იცოცხლე 100 წელიწადს! ახლა, რატომ ხარ გმირი _ გეტყვი! შენ ჯვარი გწერია და ამ ელექტრონული მედიის, ინტერნეტის, ტელევიზიის და რაც მთავარია, უსახსრობის ეპოქაში, კვდება ბეჭდვითი პრესა საქართველოში, ღაფავს სულს, “კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფს ხელოვნური სუნთქვით აცოცხლებენ. ახლობლები, შვილები, ნათესავები, ბეჭდვითი მედიის გადარჩენას, ისევ გაცოცხლებას ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდით არაფერი! ამ საყოველთაო “პრესვირუს პანდემიის” დროს ასე ყოჩაღად რომ ხარ, ბაბუ შემოგევლოს “სამტრედიის მაცნევ”, გმირობაა, აბა რა არის! ახლა ამ სტრიქონებს რომ ვბეჭდავ, ახალი წლის დადგომის ჟამია! რამდენიმე დღეღა დარჩა 2018 წლის დადგომამდე და გისურვებ, ასე ყოჩაღად და “უხვტირაჟიანად” ყოფნას! არ მოგკარებოდეთ?! “პრესვირუსის პანდემია”.

თამაზ ჭეიშვილი
მწერალი, პუბლიცისტი, შენი გულკშემატკივარი “სამტრედიის მაცნევ”

დღეს, როცა ცხოვრების პირობები კეთილდღეობის საშუალებას არ იძლევა, როცა ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის 27 წლის მანძილზე ვერ ავუწყეთ ფეხი თანამედროვე გამოწვევებს... თქვენ, სამტრედიელებს და სრულიად საქართველოს, მინდა ვუსურვო მხნეობა და შემართება, რწმენა და სიმტკიცე, აღმაფრენა და აღმავლობა... და უფლის წყალობა, უფლის მადლი, უფლის თანადგომა! ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! გილოცავთ ახალ წელს! შობას! გისურვებთ მომავალი 2018 წელი თქვენი ცხოვრების უკეთესისკენ შემობრუნების წელი ყოფილიყოს! გისურვებთ ხვავს, ბარაქას, სიხარულს, სიყვარულს!

თქვენი ბესიკ დუღაშვილი
მხატვარი, დიზაინერი.

ჩემთვის კარგად ნაცნობ ქართულ გაზეთს “სამტრედიის მაცნეს” დიდი პატივისცემით ვულოცავ შობა-ახალ წელს. მქონდა ბედნიერება, ამ გაზეთში ჩემზე დაწერილი თბილი სიტყვები ამომეკითხა. მადლობა.

ოქსანა ვაშოვა
მსოფლიო კულტურის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, პრაღა.

ქრისტე იშვა ბეთლემსა!

ტროპარი

შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი ვარსკვლავსა მსახურობენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანისცემაი შენი.

მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მადლით აღმოსავალთათ, უფალო, დიდება შენდა.

გიხაროდენ, დღეს 25 დეკემბერს (7) იანვარს იშვა ყველაფრის მშობელი და დამბადებელი, რომელმაც განდევნა შიში სიკვდილისა და მოგვიტანა სიხარული უკვდავებისა.

არ შეიძლება, ადგილი ჰქონდეს სევდასა და წუხილს, არავის აქვს უფლება განდგომისა ამ საერთო საკაცობრიო სიხარულიდან, რამეთუ, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შემმუსვრელი ცოდვისა და სიკვდილისა, მოვიდა ყველას გამოსახსნელად, რადგან ცოდვას ემონებდა ყოველი დაბადებული.

ღვთის სიტყვამ მიიღო კაცური ბუნება, რათა შეერიგებინა ადამიანი მამასთან და ქვეყნად ცოდვით შემოსული სიკვდილი დაეთრგუნა.

შევთხოვთ ქრისტეშობის ცხოველმყოფელ მადლს, რომ არ მოჰკლებოდეს მშვიდობა ქვეყნიერებას.

შევთხოვთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ მისი წმინდა საფარველის ქვეშ ყოფილიყოს ჩვენი ერი და ეკლესია.

მაცხოვარი სოფლისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყოვლადწმინდა ქალწული მარიამისაგან იშვა იუდეის ბეთლემში, იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიანეს დროს.

კონდაკი

ქალწული დღეს არსებად უზეშთაესსა შობს ჩვენთვის და ქვეყანა ქვაბსა შეუხებელისა შესწირავენ, ანგელოსნი მწყემსთა თანა დიდებას მეტყველებენ, ხოლო მოგვნი ვარსკვლავისა თანა მოგზაურობენ, რამეთუ ჩვენთვის იშვა ყრმა ახალი, _ პირველ საუკუნეთა ღმერთი.

ქრისტეს შობას გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

წარსულისაგან შობილი აწმყო

დიაკონი ლაზარე მაღლაკელიძე, მამა კლიმენტი...



ლევან გაბეჩავა

საოცრად რთული, დღევანდელი გადასახედიდან საინტერესო იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი.

ძნელად თმობდა პოზიციებს უკვე კორუმპირებული კომუნისტური ნომენკლატურა, თანდათან აქტიურობდნენ ეროვნული ძალები. აქა-იქ სასულიერო პირებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც შეხვედრები დაიწყეს მასებთან, ლეგალურად, ყოველგვარი შიშის გარეშე. გმირობა იყო მათგან ასეთი ნაბიჯი.

დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის სკოლაში პედაგოგად ვმუშაობ, პარალელურად ახალგაზრდულ (კომკავშირულ, პიონერულ) ორგანიზაციებს ვხელმძღვანელობ.

მოგეხსენებათ, კომუნისტების, კომკავშირისა და პიონერიის დროს რელიგიაზე ფარულად თუ შეიძლებოდა საუბარი მხოლოდ. ნიჭიერი, ნამდვილი პროფესიონალები ყველა დროში არსებობდნენ და არსებობენ. სწორედ სკოლის დირქტორის, მაშინ ახალგაზრდა ისტორიკოს ზურაბ ფანცულაიასაგან შევიტყვე, რომ დიდ ჯიხაიშელი გახლდათ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, ამავე სკოლის ყოფილი დირექტორისა და ისტორიის პედაგოგის, ევგენი ჯიქიძისაგან მსმენოდა, სკოლას ერთი მღვდელი მოსე ლეჟავა რომ ედგა სათავეში.

ერთი სიტყვით, ძველი ხელიდან გვეცლება, ახალი არ ვიცით, როგორი იქნება (იდეოლოგიაზეა საუბარი. ლ.გ.). აშკარად რთული, საჭოჭმანო პერიოდია. ერთნი ჩუმად არიან და ფურცელზე თუ არა, გონებაში მაინც ინიშნავენ, ვინ შედის ტაძარში, სკოლის გვერდით მთავარანგელოზთა სახელობის XVIII საუკუნის დასაწყისში ნაგები ხის ტაძარია. კოლმეურნეობას და სოფლის მაღაზიას შიგ საწყობი აქვს გახსნილი. ასე იყო მთელ ქვეყანაში.

ერთ დღეს, სკოლის დარაჯმა ბატონმა გრიგოლ სანაძემ ამბავი მოიტანა, გუშინ სადამოს სწავლა რომ დამთავრდა ეკლესიის ეზოში მღვდელი ჩავიდაო. სამიოდე დღის შემდეგ რამდენიმე ბავშვი მოვიდა და მითხრა, მასწავლებელო, გუშინ აქ, გაჩერებასთან (ავტობუსის) ვიდექით, მღვდელი მოვიდა, გვესაუბრა, გვითხრა, რომ კიდევ მოვა და როგორ მოვიქცეთო.

ჩემზე უფროს პედაგოგებს ვუთხარი ყოველივე, მათაც სხვა მოსწავლეებისგან ჰქონიათ ანალოგიური ინფორმაცია.

შვილო, კარგად დაფიქრდი, რაიმე უხეშად არავის უთხრა, გაიგეთ, ნახეთ რა უნდა მღვდელს. _ მამაშვილურად დამარიგა ბატონმა ევგენი ჯიქიძემ, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, დირექტორმა ბატონმა ზურაბ ფანცულაიამ შემოგვთავაზა წინადადება, მოსწავლეებს ჩვენც გავყოლოდით და მღვდლის სურვილით გამართულ თუ შემდგარ შეხვედრას დავსწრებოდით.

შეხვედრა შედგა.

მშვენიერი ახალგაზრდა წვეროსანი ყმაწვილი მშვიდად, დაბეჯითებით საუბრობს რელიგიაზე (თურმე საქართველოს ჭეშმარიტ ისტორიაზე) მიტროპოლიტ ნაზარიზე, რელიგიის მნიშვნელობაზე, დაფარულად ლენინური იდეოლოგიის საწინააღმდეგო აშკარა ფრაზებიც გააჟღერა. პიჯაკზე, წესისამებრ, ლენინის გამოსახულებანი კომკავშირის ნიშანი მიკეთია, ჩემი მოსწავლეები კი წითელი ყელსახვევებით არიან. გაგვეცნო მღვდელი, დიდი ალბათობით მისი სახელი გოჩა იყო, გვარი მაღლაკელიძე.

ნელა, მშვიდად, უპრობლემოდ "ჩვენმა მღვდელმა" (ასე მოიხსენიებდნენ მაშინ სოფელში) საუბრებით ისე მოგვნუსხა, რომ საწყობად გამოყენებული ეკლესიის დასუფთავებაში როცა მოსწავლეების დახმარება შემოგვთავაზა, მოსწავლეებთან ერთად ჩვენც, რამდენიმე პედაგოგმაც მივიღეთ მონაწილეობა.

ვაღიარებ, მაშინ მე და არამარტო მე, ყველა, ვისაც ანაფორა ეცვა, მღვდელი მეგონა, თუმცა ერთხელ მღვდელმა მითხრა, მღვდელი არა, დიაკონი ვარო, სიღრიმისეულად ვერაფერი გავიგე, მაგრამ არ შევიმჩნიე, მალე შეაყვარა თავი მოსწავლეებს, სოფელს "ჩვენმა მღვდელმა".

ერთ დღეს "სამტრედიის მაცნეში" დიაკონ ლაზარე მაღლაკელიძის წერილი დაიბეჭდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მღვდელმა რედაქციაში მხარზე ხელი დამადო და თბილად გადამეხვია.

1992 წლის 20 ნოემბრის "სამტრედიის მაცნეში" პირველ გვერდზეა დაბეჭდილი დიაკონ ლაზარე მაღლაკელიძის წერილი გიორგობას რომ ეძღვნება, გასაგებად შემოსულა რედაქციაში, თუ რა ბედი ეწია მის წერილს.

მერე, რატომღაც, "ჩვენი მღვდელი" ყაზბეგის მთავარანგელოზთა ეკლესიას არ სტუმრობდა, იქ, მომდევნო წლებში დეკანოზმა რომანოზმა (ნინუამ) დაიწყო მოღვაწეობა.

დღემდე საოცარი სურვილი მაქვს შევიტყო სად გააგრძელა, გააგრძელა თუ არა სასულიერო საქმიანობა ლაზარე მაღლაკელიძემ, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის შემდეგ რელიგიური, სულიერების სხივი შემოიტანა წმინდანად შერაცხულ მიტროპოლიტ ნაზარის მშობლიურ დიდ ჯიხაიშში.

1989 წლის აპრილის მოვლენები რომ მოხდა, სამტრედიაში ერთ-ერთი მოქმედი ჭაგნის ღვთისმშობლის ეკლესია იყო, სადაც 9 აპრილს დაღუპულთა სულების საოხად პანაშვიდი გადაიხადეს 9 აპრილიდან მე-40 დღეს.

ამ ტაძრის მოხუცი მღვდელი, მამა კლიმენტი მახსოვს კარგად. ჯერ ერთი, რომ მასთან მოვნათლე ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ადამიანი ჯონი ვაშაკიძე, რომელიც ამჟამად ცოლშვილთან დიდ ჯიხაიშში ცხოვრობს. _ მამა კლიმენტიმ აკურთხა ჩემი ბებიის საფლავიც. არც მამა კლიმენტის შემდგომი ბედია ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ცნობილი. კარგად მახსოვს რომ მითხრა, ტყიბულიდან ვარო.

და მაინც, რატომ გავიხსენე ეს ამბები?

ამ დღეებში 40 წელი შესრულდა საქართველოს პატრიარქის აღსაყდრებიდან.

ეს ორმოცი წელი უბრალოდ რომ ვთქვათ, იყო წლები ხალხის შემობრუნებისა ეკლესიისაკენ. ეს ფაქტებიც, რომლებიც ამ წერილში გავიხსენეთ, საერთოობაში ამ 40 წლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელმაც არა მარტო ამ წერილის ავტორის, არამედ ასობით ადამიანის შემობრუნებას შეუწყო ხელი დედა ეკლესიისაკენ, ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ.

ბედნიერად მივიჩნევ თავს, რამეთუ ჩვენს თვალწინ არა ერთმა და ორმა ახალგაზრდამ მიიღო გადაწყვეტილება, გამხდარიყო მოძღვარი: მამა მატათა (ბერიძე), მამა მიქაელი (ხუნდაძე), მამა შიო (ჭაფოძე), მამა ზურაბი (კოპალეიშვილი), ჩემი სულიერი მოძღვარი მამა ანტონი (ვაშაკიძე) და სხვები.

საოცარი კრძალვა შეიპყრობს და სულიერი სიმშვიდე თითოეულ სამტრედიელს, თუ ერთჯერ მაინც ეწვევიან ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარს, სადაც წლებია მოღვწეობენ დედა სოფიო, დედა ქეთევანი, დედა ელისაბედი.

დაბოლოს, საოცრად საინტერესო და ერთობ რთულიც იყო განვლილი 40 წელი, თუმცა, ღვთის წყალობით ერმა ირწმუნა ქრისტიანობა, ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში, მთასა თუ ბარად არსებულ ტაძრებში მრევლის სიუხვე გვაძლევს ამისი თქმის საბაბს.

საქართველოში დღეს 46 ეპარქია და ორიათასამდე მოქმედი ეკლესიაა... მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დიდი ღვაწლის შედეგია ყოველივე, პატრიარქისა, 40 წელი ბრძნულად რომაა დაბრძანებული საპატრიარქო ტახტზე.

არის ასეთი ქალაქი

ნათია ნაცვლიშვილი

საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულ მუნიციპალიტეტის ქუჩებს კიდევ ერთი დაემატა. _ ჯავახიშვილის ქუჩის გაზონში მწვანე ნაძვები ჩაირგო, მოირთო და განათდა. ამ ლამაზი აქციის ინიციატორი ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ქალბატონი ნატო ნიკურაძეა. მას სამტრედიაში მეგობრები დაეხმარნენ და სწორედ იმ დღეს, როცა მთელი დღის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა, მათ ნაძვის ხეები მორთეს. საზეიმო გახსნას და ცერემონიალს მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა დაესწრნენ. სადაც სამტრედიაა, კრეატივიც იქ არის! შობა-ახალი წელი თანაქალაქელებს წმინდა დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმაც მიულოცა. შესრულდა მრავალჟამიერი, რაჭული და იმერული ალილო და ''არის ასეთი ქვეყანა''.

ვალერიანე ფოცხვერია: ''ერთი კეთილი ფერია ცხოვრობს ამერიკაში, შემეხმიანა და მთხოვა, ერთ ქუჩას მოვრთავო. ამ ქუჩაზე დღეს განათდა ნაძვის ხეები და ხედავთ, რომ ძალიან ლამაზია. ჩვენ მოვიწვიეთ ჩვენი ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრები, რომლებიც ამ ქალბატონის პატივსაცემად სიმღერას შემოგვთავაზებენ''.

ქეთევან შაშიაშვილი: ''ნატო ნიკურაძეს გაუჩნდა სურვილი, სამტრედიის ერთ-ერთი ქუჩა, მაგალითად, სიყვარულის ქუჩა (იგივე ჯავახიშვილის) გაელამაზებინა. გვთხოვა, იდუმალ სანტად დარჩენილიყო, მაგრამ მაინც გავთქვით მე და ნინო ჭავჭანიძემ, მარტო ქალბატონები ამ საქმეს ვერ გავაკეთებდით, მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც გვერდით დაგვიდგა, ასევე, გარე განათების სამსახურს''.

ცენტრალური ნაძვის ხე განათდა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაძვის ხე საზეიმო ვითარებაში განათდა. ტრადიციული ადგილიდან ნაძვის ხემ პოლიციის შენობის წინ გადმოინაცვლა. ბავშვები განსაკუთრებულ ელფერს სძენდნენ ცერემონიას. ფეიერვერკებმა ისინი ძალიან გაახალისა. იქ იმყოფებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი მოადგილეებთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და მერიის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად.

ჩვენ რამდენიმე მათგანს კომენტარი ვთხოვეთ: ''მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია: ''შევუცვალეთ ადგილი ნაძვის ხეს, ცენტრალურ ადგილას დგას, წინათ ბავშვები ზოგჯერ აზიანებდნენ მას. პოლიციასთან უფრო დაცულია ჩვენი ნაძვის ხე. ის აინთო და გახსნილად ვაცხადებთ საახალწლო ღონისძიებებს, 31 დეკემბერს ღამით თოვლის ბაბუა დაასაჩუქრებს პატარებს, ასევე დიდი, გრანდიოზული კონცერტი გაიმართება შობის ღამეს. არც ერთი პატარა არ დარჩება უსაჩუქროდ, დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, განსაკუთრებით ბავშვებს, რომელთაც გალამაზებული ქალაქი უფრო უმაღლებს საზეიმო განწყობას

_ იქნება მომავალი წელი გასულ წელზე უკეთესი?

_ აუცილებლად უკეთესი იქნება და წინ წავალთ.

საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია:

''ახალ წელს ყოველთვის გვაქვს სიხარულის დიდი მოლოდინი, სილამაზე და სიმშვენიერე დაებედოთ ამ პატარებს, ყველას გილოცავთ, მშვიდობის, სიყვარულისა და პატივისცემის წელი ყოფილიყოს.''

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის რანგში, პირველი ინტერვიუ მისცა ჩვენს გაზეთს ირაკლი სულავამ: ''პირველ რიგში ჩემს თანაქალაქელებს მივულოცავ დამდეგ ახალ წელს, დღეს აინთო ჩვენი ცენტრალური ნაძვის ხე, უკვე დასრულებულია ქალაქის განათების მოწყობის სამუშაოები.

_ რამდენად უკეთესი იქნება მომავალი წელი გასულ წელზე?

_ შედარებით უკეთესი იქნება, რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დავგეგმეთ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე და მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი მცხოვრებლები იყვნენ კმაყოფილნი. წლევანდელი ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტზე ორი მილიონით მეტია.''

მშვიდობით მოხვედ წელო ახალო!

ლევან გაბეჩავა

ახალი წლის კვირაძალზე წლის მოვლენებს ავჯამებს ოდითგან კაცობრიობა.

ბევრი რამით იყო მნიშვნელოვანი 2017 წელი საქართველოსათვის.

წარმატებული, გაბედული ნაბიჯები გადაიდგა ევროინტეგრაციის გზაზე. საერთაშორისო ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა არაერთხელ აღიარეს ქართული კულტურული ყოფის, ტრადიციების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

არაერთხელ გვასახელეს საერთაშორისო ასპარეზზე ქართველმა ხელოვანებმა, სპორტსმენებმა, ახალგაზრდებმა.

ფასდაუდებელია წვლილი, რომელიც ქართველ მშვიდობისმყოფელებს შეაქვთ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში, პლანეტის ბინადართა მშვიდობიანი ყოფის დამკვიდრებაში.

იყო სირთულეებიც: აზიურმა ფაროსანამ ღამის თხილისა და სიმინდის გარეშე დაგვტოვა, თავსატეხი გაგვიჩინა. ახლა ზაფხულის ხანძრები. კიდევ უფრო ადრე ''ციანიდის საქმე'', ახალგაზრდებს შორის ჩადენილი უმძიმესი დანაშაული _ მკვლელობები...

მოდის ახალი 2018 წელი, ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული. სიხარულით, იმედებით ელიან ახალ წელს ამერ-იმერში.

ვულოცავთ სახელოვან ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს, ჩვენს მომავალს, ომის, შრომის, ვეტერანებს, წლებით მხრებდამძიმებულ ადამიანებს, რომელთაც ათეული წლები გაატარეს ქვეყნის სამსახურში. ვულოცავთ ''სათნოების სახლის'' სათნო ბინადართ, ბედმა ერთი დიდი ოჯახის წევრებად რომ აქციათ.

მიუხედავად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, მძიმეა დევნილთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, კიდევ უფრო მძიმე და ძნელია გერქვას დევნილი საკუთარ სამშობლოში.

ასობით ქართველი სამხედრო მოსამსახურე ახალ წელს სამშობლოდან შორს ეგებება, ისინი მონაწილეობდნენ საერთაშორისო მისიებში და ფხიზლად დგანან მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში მცხოვრები ადამიანების მშვიდობის სადარაჯოზე. გულწრფელად ვულოცავთ მათ!

ვულოცავთ ასობით და ათასობით იმ ქართველს, საქართველოს იმ მოქალაქეებს, ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული სოციალური ფონის გამო თურქეთში, ესპანეთში, იტალიაში, სხვა სახელმწიფოებში რომ იმყოფებიან სამუშაოდ.

გულწრფელი საახალწლო სურვილებით მივმართავთ და ქრისტეს შობას, ახალ წელს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობრებს, მწერლებს, პოეტებს, ხელოვანებს, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან ''სამტრედიის მაცნეს'' ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

ვიმედოვნებთ, ახალი წელი ვიდრე ძველი ბევრი კარგი მოვლენით, ფაქტით იქნება სამახსოვრო.

ინფრასტრუქტურული პროექტები, კულტურულ-შემეცნებითი, სპორტული, ახალგაზრდული ღონისძიებები, რომლებიც საქართველოში, რეგიონსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტშია დაანონსებული ამისი ვარაუდის, ფიქრის უფლებას გვაძლევს.

დასაბრუნებელია აფხაზეთი...

მავთულხლართებისგანაა გასათავისუფლებელი ქართული მიწა.

სახალხო დიპლომატიითა თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებებით ოკუპანტი გაძევებული უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

საზოგადოებაში აშკარად მაღალ ნიშნულამდე ასული ბოღმა, დვარძლი, შური, გაუტანლობა, უნდობლობა, სათნოებამ, ურთიერთსიყვარულმა, თანადგომამ უნდა ჩაანაცვლოს.

სათანადოდ უნდა იქნას ათვისებული ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები და იგი უნდა იქნეს ხალხის და არა თითოეული ადამიანის უკეთესი ყოფის გარანტი.

ბოლოს და ბოლოს, 4 მილიონიან სახელმწიფოში დაძლეულ უნდა იქნას უმუშევრობა სამუშაო ადგილების გაჩენის კვალობაზე.

ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი განათლების სისტემაში. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების კუთხით კიდევ მეტია გასაკეთებელი.

სასურველია, ეტაპობრივად აღორძინდეს საქართველოსთვის ტრადიციული დარგები სოფლის მეურნეობისა, მრეწველობისა.

ერთ სიტყვით, გასაკეთებელ-მოსაგვარებელი ბევრია, რომელთა გადაჭრა, სისრულეში მოყვანა, რაღა თქმა უნდა, ბევრად ძნელია, ვიდრე მათი ჩამოთვლა, მაგრამ არა მიუღწეველი.

ვიდრე დღეს, გაცილებით რთულ ვითარებაშიც ქართველი კაცი იმედით ეგებებოდა ახალი წლის მოსვლას, ასეა ამჯერადაც.

უკეთესი მომავლის იმედი ნუ მოგვიშალოს უფალმა.

ფეხბედნიერი, სვებედნიერი, ხვავის, ბარაქის მომტანი იყოს ახალი წელი თითოეული ადამიანისთვის.

ჩვილთა ღუღუნი, მრავალჟამიერი ისმოდეს ქართული ოჯახებიდან.

მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-9 საერთო კრება

2017 წლის 23 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-9 საერთო კრება გაიმართა.

წესდების თანახმად საერთო კრება ყოველწლიურად იკრიბება დეკემბერში და ორგანიზაციის განვითარებისათვის საჭირო საკითხებს განიხილავს, ამასთან, ირჩევს საბჭოს 3 წევრს _ ერთს დედაქალაქიდან, ორს კი _ რეგიონის მედიასაშუალებებიდან.

"2017 წელს მედია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა _ არაერთი ინიციატივა გაისმა, რომელიც მედიის და ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა _ იქნებოდა ეს მოსამართლეთა კრიტიკის შეზღუდვის სურვილი, ჟურნალისტისთვის წყაროს გათქმის დავალდებულება, მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა, თუ სიძულვილის ენის თვითრეგულირებიდან რეგულირებაში გადატანა. არც ერთი აღნიშნული მცდელობა ვერ რეალიზდება, თუმცა, ცხადად გამოჩნდა მედიის კონტროლის სურვილი და მოსალოდნელია, რომ ამ თემებზე მსჯელობა გაგრძელდება. ცალკე უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, ავფგან მუხტარლის თბილისიდან გატაცების საქმე, რომელიც კვლავაც ბურუსითაა მოცული და ჟურნალისტებმა ვერ მიიღეს ბევრ კითხვაზე პასუხი. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მედიის წარმომადგენელთა შეთანხმებული პოზიცია და ღირებულებები. ამ პროცესში კი სულ უფრო ძლიერდება მედიის თვითრეგულირების, შესაბამისად ქარტიის როლი. ჟურნალისტებმა უნდა შეძლონ, აჩვენონ საზოგადოებას, დაინტერესებულ პირებს, რომ თავად შესწევთ უნარი დაშვებული ხარვეზების გამოსწორების, სტანდარტების გაუმჯობესების და აღარ დატოვონ ადგილი რეგულირების სურვილისთვისაც კი." _ არსებული გამოწვევების საპასუხოდ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წლიური მუშაობის ანგარიშის შესავალი ნაწილი ასე დაიწყო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარემ. ნატა ძველიშვილმა სტრატეგიული გეგმის თანახმად ქარტიის რამდენიმე მიმართულებით მუშაობაზე ისაუბრა, მათ შორის გამოჰყო ქარტიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, ჟურნალისტთა პროფესიული განათლება, უფლებები და მედიაგარემო, ქარტიის ორგანიზაციული მართვის დახვეწა და ქარტიის ფინანსური შესაძლებლობების განვითარება. მომხსენებელმა წარმოადგინა გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები.

მოხსენება გააკეთა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი მგელაძემ. წლიური ანგარიში წარმოადგინა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ირმა ზოიძემ.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ "ქარტიის პრიზი 2017-ის" გამარჯვებულები დააჯილდოვა. ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია შემდეგი ნამუშევრები: საუკეთესო სტატია _ ნინო ლომაძე "მელაპარაკე" (ინდიგო), საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება _ ცქრიალა შერმადინი, "ქართული ცხვრის გასაჭირი" (სტუდია მონიტორი); საუკეთესო მულტიმედია _ მარიამ ჯაჭვაძე, თამარ მშვენიერაძე, "აფრიკა თბილისში" (ინდიგო); საუკეთესო ვიდეორეპორტაჟი _ ეკა ქევანიშველი, "მარიას არჩევანი" (რადიო თავისუფლება); ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქება _ გელა მთივლიშვილი, "წყლის, ტუალეტისა და აბაზანის გარეშე _ როგორ ცხოვრობენ ბავშვები ფშავ-ხევსურეთის პანსიონებში" (მთის ამბები).

ქარტიისა და იუნისეფის სპეციალური სერტიფიკატი გადაეცა ქრისტინე შანავას, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს, გადაცემაში "პირადი ექიმი _ მარი მალაზონია" განხორციელებული პროექტისათვის "შობლის დღიური", რომელიც შშმ ბავშვების მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმის შემცირებას უწყობდა ხელს.

ოთხ კატეგორიაში კონკურსი IREX-ის მხარდაჭერით გამოცხადდა, ხოლო პრიზი ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქებისათვის დაწესებულია გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ.

საერთო კრებაზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრობის კანდიდატები დასახელდნენ, შეირჩა საარჩევნო კომისიის წევრები, კანდიდატებმა მიმართეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრებს, ისაუბრეს საკუთარ პრიორიტეტებზე.

ქარტიის წევრმა აირჩიეს საბჭოს სამი ახალი წევრი _ თბილისის კვოტით ლიკა ზაკაშვილი, რეგიონის კვოტით კი მაია მერკვილაძე და გელა მთივლიშვილი. მათ ამ პოზიციაზე ჩაანაცვლეს მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი და ჯაბა ანანიძე. მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საბჭოს კვლავ გიორგი მგელაძე უხელმძღვანელებს.

2018 წლის დეკემბრის ბოლომდე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელ დირექტორად კვლავ ნატა ძველიშვილი იქნა არჩეული.

ნინო ნანიტაშვილი
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი

მეწყერი გააქტიურდა

მეწყრული მოვლენები გააქტიურდა დაბლა გომში. ქოსნათის უბანში 24 დეკემბერს საავტომობილო გზა ჩავარდა, რამაც აღნიშნულ ტერიტორიაზე გარკვეულწილად საავტომობილო გადაადგილება შეზღუდა.

მოსახლეობა ვერ იხსენებს მსგავს შემთხვევებს, თუმცა მეწყრული მოვლენის მიმართ თავიანთი ახსნა გააჩნიათ. ადგილობრივები ფიქრობენ, რომ გზის გასწვრივ არხში დაკარგულმა წყალმა ნიადაგში ნაპრალი ნახა და მეწყრული ზონა გამოიწვია.

მოსახლეობამ თავდაპირველად გომის თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს მიმართა. ზაზა ნიკოლეიშვილი ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ ვალერიანე ფოცხვერიას დაუკავშირდა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა იმთავითვე გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ჩააყენა საქმის კურსში.

მამუკა ქიმუცაძე გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის დასავლეთ რეგიონული სამმართველოს უფროსია. 25 დეკემბერს სპეციალისტებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის პირებთან ერთად გომის თემში ისიც იმყოფებოდა. დაზიანებული ტერიტორიის ვიზუალურად დათვალიერების შემდეგ დაასკვნა, რომ საქმე მცირე მეწყრულ პროცესთან გვაქვს, რომლის გააქტიურება მიწისქვეშა წყლების დინებამ და უხვი ნალექის პირობებში ჩამოდენილმა წყალმა გამოიწვია.

სპეციალისტები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ტერიტორიის ვიზუალურად შესწავლის შემდეგ პირველ ეტაპზე წყალსაწრეტი არხების მოწყობის აუცილებლობაზე შეჯერდნენ.

ნინო ნანიტაშვილი

საშეშე მერქანი სოციალურად დაუცველებს...

რამდენიმე საკითხი განიხილეს 22 დეკემბერს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას თავმჯდომარეობით გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

მომხსენებლები საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიათა თავმჯდომარეები, ბატონები შალვა არზუმანიანი და მერაბ უღრელიძე იყვნენ.

ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საშეშე მერქნის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე, საკრებულოს მერაბ უღრელიძემ მოახსენა.

აღინიშნა, რომ 5 კუბური მეტრი საშეშე მერქანი გადაეცემა სოციალურად ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს რაც შარშანდელთან შედარებით (3 კუბური მეტრი) გაცილებით მეტია.

მერქანი კი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმიური, აუცილებელი ჭრის შედეგადაა მოპოვებული.

მისასალმებელია უდავოდ ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის და მარტო არ ტოვებს სუსხიანი ზამთრის პირისპირ.

საკრებულომ მოიწონა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც, ძირითადად, ასფალტბეტონის საფარიანი გზების დაგებას ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაბასა და მთელ რიგ სოფლებში, აგრეთვე, ქალაქის ცალკეულ უბნებში.

განხილულ საკითხთა ირგვლივ საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

ლევან გაბეჩავა

ამ კედლებში რაინდული ქართული სული ყალიბდება

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრები ახლახან ქუთაისში გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს ეწვივნენ. (დირექტორი პოლკოვნიკი შალვა ძინძიბაძე). იდეა, წვეოდნენ სასწავლებელს, სადაც ახალგაზრდებს ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიან, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს სალომე სტურუას და თამუნა ჯინჭველეიშვილს გაუჩნდათ. სკოლა "ცოდნის" სამოქალაქო კლუბის (სამოქალაქო განათლების პედაგოგი ლუიზა მიქაუტაძე) წევრებთან ერთად ეს აქტივობა მალევე განახორციელეს ახალგაზრდული პარლამენტის (კურატორი ელიკო ანკვაბი) წევრებმა. ახალგაზრდების მიზანი იყო, მეტი შეეტყოთ ამ სასწავლებლის შესახებ, ისინი გაეცნენ კადეტთა ცხოვრების პირობებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს მეგზურობა გაუწიეს კადეტებმა მარიამ კობერიძემ და ოთარ კუხიანიძემ.

"სამტრედიის მაცნეს" "ახალგაზრდული პარლამენტის" წევრებმა თამუნა ჯინჭველეიშვილმა, ნიკა ხარებავამ, ანი ჩაგრაგანიძემ და რუსუდან ჟორჟოლიანმა შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

თამუნა ჯინჭველეიშვილი: "სალომე სტურუას გაუჩნდა იდეა, ვწვეოდით ხონის სამხედრო ნაწილს, მე გამეგო სამხედრო ლიცეუმის შესახებ, ერთობლივად გადავწყვიტეთ, ვწვეოდით ლიცეუმს, ეს იყო ძალზე საინტერესო ექსკურსია, მომავალში ამ სასწავლებელს კიდევ ერთხელ ვეწვევით, ჩვენი ახალგაზრდული პარლამენტის წევრ გოგონებსაც გაუჩნდათ იქ სწავლის გაგრძელების სურვილი. მოსწავლეთა გენდერული თანასწორობა დაცულია, აქვთ ეკლესია, შემუშავებული აქვთ კადეტის მრწამსი, რომელსაც თითოეული კადეტი იცავს, აქვთ თანამედროვე სპორტული დარბაზი, სარბენი ბილიკი, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა, სასწავლებელში ტარდება სპორტული და ინტელექტუალური ჩემპიონატები, აქვთ დიდებული ბიბლიოთეკა. მათ საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან სტუმრობენ, თავადაც გადიან მაღალმთიან რეგიონებში, რომ ბავშვებს მათ შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ. კადეტები საუკეთესო მოსწავლეები არიან, ლიცეუმის არსებობის მანძილზე არ ჩაჭრილა მისი არც ერთი მოსწავლე არც საატესტატო და არც ეროვნულ გამოცდებზე. აუცილებელია ასეთი სასწავლებლის არსებობა, რომ ახალგაზრდებს პატრიოტული განწყობა აუმაღლდეთ."

ნიკა ხარებავა: " მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია ლიცეუმში მიღების, სწავლებისა და ცხოვრების პირობების შესახებ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ვიზიტორებმა ლიცეუმის ინფრასტრუქტურა დაგვათვალიერებინეს. დიდი მადლობა გადაუხადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელს ტატა გოგუაძეს და თავადვე გასწიეს ჩვენი გამგზავრების ხარჯები. მეორე დღეს ჩვენს სკოლაში სამოქალაქო კლუბის სამმა წევრმა პრეზენტაცია გავმართეთ და ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ მოსწავლეებს. ბევრ მეცხრეკლასელს გაუჩნდა სურვილი, სწავლა განაგრძოს სამხედრო ლიცეუმში. პირველ რიგში, იქ ცხოვრება ადამიანს ასწავლის გუნდთან ერთად ცხოვრებას, დისციპლინა მაღალ დონეზეა და ყველა ბიჭს ევალება, თავისი საცხოვრებელი ფართის დალაგება-მოწესრიგება, საგნები ისწავლება სკოლის მსგავსად, ოღონდ უფრო გაძლიერებით, ლიცეუმის დასრულების შემდეგ კადეტს ეძლევა სკოლის ატესტატი და თუ მან სწავლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დაასრულა, ლიცეუმი მას უცხოეთში გზავნის სასწავლებლად."

ანი ჩაგრაგანიძე: "როგორც იქ მყოფმა კადეტებმა აღნიშნეს, შარშან თუ 8 გოგონა ჩაირიცხა, წლეულს მათი რიცხვი 25-ს აღემატება. რვავე გოგონა პრეზიდენტმა წაახალისა და ერთჯერადი სტიპენდია გადასცა 1000 ლარის ოდენობით. ფიზიკური მომზადება და სწავლა იქ რთულია, მაგრამ ადაპტაციის ორკვირიანი ვადა ეძლევათ, ვინც ვერ შეეგუება ამ წესებს, ავტომატურად ირიცხება ლიცეუმიდან."

რუსუდან ჟორჟოლიანი: "ლიცეუმი უზრუნველყოფს კადეტების კარგ სწავლებას, რომ ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ადამიანებად, ასევე უზრუნველყოფს მათ ჯანსაღ კვებას, ვინც შორს ცხოვრობს, შეუძლია იქვე დარჩეს, მთელი წელიც. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ კადეტს შეუძლია თვის ლექტორ-პედაგოგთან დამატებით მოითხოვოს მეცადინეობა, ყველაზე მეტად ფიზიკური მომზადება უჭირთ, აკადემიური მოსწრება ყველასი მაღალია, კადეტს სამი საგერდე ნიშნის ტარება შეუძლია (მაღალი აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და ფიზიკური მომზადების გამო). ლიცეუმში ისწავლება ინგლისური, რუსული და თურქული ენები, სხვადასხვა საზღვარგარეთის ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში საინტერესო ახალგაზრდული პროექტები ხორციელდება, ყოველგვარ დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს".

"ორუდილამ" მუსიკალური ზღაპარი

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ანსამბლმა "ორუდილამ" წლევანდელი ახალი წელი თანაქალაქელებს მუსიკალური ზღაპრით მიულოცა. "წითელქუდას საახალწლო თავგადასავალმა" ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის გაყინულ დარბაზში მთელი ქალაქი შემოიყვანა. სასცენო დეკორაციებიდან გადმოფრქვეულ სითეთრესა და სისპეტაკეს "ორუდილელთა" ხმების სილამაზე შეერწყა და მაყურებელმა მართლაც შთამბეჭდავი სანახაობა იხილა. "ორუდილას" ხელმძღვანელმა, კომპოზიტორმა ნონა ჭახნაკიამ უამრავი თაობა აღზარდა, ანსამბლის აღზრდილები სცენას უკვე წამყვანებად უბრუნდებიან. მეტიც, სცენაზე ანსამბლის ორი თაობა იდგა ერთად. დედა-შვილმა ირმა ადამიამ და ელენე შენგელიამ ჯანსუღ კახიძის უკვდავი "ალილო" შეასრულეს. ეს "ორუდილას" უმცროსი თაობაა. ნაძვის ხესთან მორთულ-მოკაზმული პატარები მღერიან, ცეკვავენ და გვიმაღლებენ განწყობას. წითელქუდას საახალწლოდ უამრავი მულტფილმის პერსონაჟი უმშვენებს მხარს, აქ არიან ფიფქია და შვიდი ჯუჯა, სპორტსმენი ფისო, ფერია, პრინცი და პრინცესა, კონკია, ელზა, მელია, ქალთევზა, დედა თოვლი.... სიმღერებით გვამოგზაურეს პატარებმა საქართველოში, იტალიიდან და ისრაელიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც გვიმღერეს უცხოური ჰიტები. წითელქუდა ბარბარე მინაშვილმა შეძლო, დაემეგობრებინა ბებოს შესაჭმელად მიმავალი მგელი, რომელმაც ულამაზესი სიმღერა შეასრულა. აჟღერდა კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას სიმღერები, ასევე ქართველ კომპოზიტორთა ყველასთვის კარგად ცნობილი საბავშვო-საესტრადო სიმღერები, ჟღერდა ულამაზესი ქართული კინომუსიკა. სიურპრიზი იყო სცენაზე ბებოს როლში პედაგოგ მერი ტკვაცირიას გამოჩენა. მაყურებელმა ხმის ტემბრით ამოიცნო ინსტრუმენტული ანსამბლ "ჩანგის" ხელმძღვანელი. მან პატარებთან ერთად არაერთი სიმღერა იმღერა.

კონცერტის ბოლოს ნონა ჭახნაკიას კომენტარი ვთხოვეთ: " მივულოცავ დამდეგ ახალ წელს ჩვენს უსაყვარლეს ბავშვებს, რომლებიც არიან ჩემთვის ახალი იდეების და შთაგონების წყარო, სათითაოდ ვუხდი მადლობას ბარბარე მინაშვილს, სერგი კარაკაშიანს, ქეთუსია კობახიძეს, მარი თევზაძეს, სალომე ტალაბაძეს, თეკაკო დათეშიძეს, ელენე შენგელიას, დანიელ ხუჭუას, თეკლა თევზაძეს, ანანო მსხილაძეს, თეკლა კრავეიშვილს, თეკლა მეგენეიშვილს, ბარბარე კარაკაშიანს, მარი არველაძეს და მიშო ალფაიძეს. ასევე მთელ საქართველოს მივულოცავ და ბედნიერ წელს ვუსურვებ. უდიდეს მადლობას ვუხდი თანადგომისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორ ტატა გოგუაძეს, სცენის მხატვარს და "ორუდილას" დიდ მეგობარს, ნანა რუხაძეს, "ორუდილას" სამხატვრო ხელმძღვანელს ელიკო ანკვაბს, ქორეოგრაფსა და კომპოზიციების ავტორს ნანა ბებიას.

მეთერთმეტე სკოლა "ვეფხისტყაოსნის" სამაგიდო თამაშების მონაწილე

ნათია ნაცვლიშვილი

მეთერთმეტე საჯარო სკოლა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ძალზე საინტერესო ჩემპიონატში ჩაერთო. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ მაია ლორიას მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს "ვეფხისტყაოსნის" სამაგიდო თამაშების ჩემპიონატში. ამ საინტერესო თამაშის იდეის ავტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ფილოლოგი ლევან გელაშვილი, მაია ლორიამ ერთ-ერთ შეხვედრაზე გაიცნო და გაგრძელდა მათი თანამშრომლობა.

მეთერთმეტე საჯარო სკოლა სამტრედიაში პირველია, სადაც ბავშვებს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ. მოსწავლეები 9 გუნდად დაიყვნენ და საკმაოდ რთულ კითხვებზე მოუწიათ პასუხების გაცემა. თამაშს ინტრიგას და ინტერესს ისიც მატებდა, რომ არც ერთ მათგანს ჯერ სკოლაში "ვეფხისტყაოსანი" შესწავლილი არ აქვს (ისინი მეშვიდე, მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეები არიან). მაგრამ ამ თამაშისთვის ერთი თვის განმავლობაში მოემზადნენ. თამაშის დაწყებას წინ უძღოდა წამყვანის საინტერესო ლექცია "ვეფხისტყაოსანზე", ჩვენი ამ უდიდესი ეროვნული საგანძურის მნიშვნელობაზე. მან ეს სიცოცხლისუნარიანი და უკვდავი ტექსტი ასე დაახასიათა " ქართველების "Google-ი საუკუნეების განმავლობაში".

საინტერესო და დაძაბული თამაშის შემდეგ გამოვლინდნენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები. პირველ ადგილზე გავიდნენ საბა ნიკოლეიშვილი, თამაზ კვატანია და ნინო აბრამიშვილი. მეორეზე _ დათო გეგუჩაძე, ავთანდილ მამფორია და თამარ თევზაძე. მესამეზე _ ელენე ბოხუა, ნიკოლოზ დვალიშვილი და ნინო გეგეშიძე. თამაშის იდეის ავტორმა და წამყვანმა გამარჯვებულები დააჯილდოვა მაისურებით, კალენდრებით ავტოგრაფიანი ახალი სამაგიდო თამაშით და წიგნებით.

ლევან გელაშვილი: "2016 წელს შევქმენი ეს თამაში. მოგეხსენებათ, არის რუსთაველის 850 წლის იუბილე, ვატარებ ჩემპიონატს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, უკვე ჩავატარე თსუ-ში, იყალთოში, წეროვანში, პროექტი ხორციელდება ფონდ "ორბელიანი-საქართველოს" და ფონდ "იავნანას" ფინანსური მხარდაჭერით მხოლოდ უნივერსიტეტში. ეს ძალიან ხალისიანი თამაშებია, ამ თამაშით ბავშვს შეუძლია ისწავლოს "ვეფხისტყაოსანი", იზიდავს იგი მოსწავლეებს და სტუდენტებს, უნივერსიტეტებში თამაშს ვატარებთ სამ დიდ ტურად: "ვეფხისტყაოსნის" "რა? სად? როდის?" "ვეფხისტყაოსნის" ფაზლი-ლოტო და "ვეფხისტყაოსნის" სამაგიდო თამაში. სკოლებში ვატარებთ ბოლო ორი სახეობის თამაშს. მომავალში ვგეგმავთ, რეგიონში გამარჯვებული სკოლები თბილისში ჩამოვიყვანოთ და ეს იყოს მთელი საქართველოს ჩემპიონატი."

მაია ლორია: " არასამთავრობო ორგანიზაციამ "ორბელიანი-საქართველო" დააფინანსა ჩემი იდეა _ სამტრედიის დენდროლოგიური პარკის ახალი სიცოცხლე. დაგვაფინანსეს 1500 ლარით და სექტემბრიდან აქტიურად მუშაობს ჩვენი ეკოკლუბი "ხეთა მონადვლენი". უახლოეს დღეებში დავასრულებთ ამ სამუშაოებს. ტრენინგებზე გავიცანი ლევანი, რომელიც ასევე დააფინანსა ფონდმა "ორბელიანი-საქართველომ." ის ჩემი ახალგაზრდა კოლეგაა, ბავშვებისთვის მისაბაძია, დასავლეთ საქართველოში პირველად ჩვენმა სკოლამ მოიწვია. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ "ვეფხისტყაოსანი" შინაგანად გავითავისოთ, ამით მეათეკლასელებს, რომლებსაც იანვრიდან უნდა დავაწყებინო "ვეფხისტყაოსნის" შესწავლა, ავუმაღლებ მოტივაციას. ესაა შესაძლებლობა, დავუახლოვდეთ მას, რასაც დავშორდით, ის ჩვენს გარეშეც არსებობს, უბრალოდ, ჩვენ მის გარეშე არ შეგვიძლია. ვთამაშობთ, რათა "ვეფხისტყაოსნის" მკითხველობის პატივი დავიბრუნოთ და წუთისოფლის მდგმურები ჩვენს სახლში, შინ _ რუსთაველთან დავბრუნდეთ. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ლენა ხაჟალიას მხარდაჭერისათვის, მადლობა შეხვედრის ყველა მონაწილეს, მათ მშობლებს, მეამაყება, რომ ამ ბავშვების მასწავლებელი მქვია."

მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია: "თამაშით სწავლება დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ თამაშის მთავარი მიზანია, დაუბრუნდეს ბავშვი წიგნს და წიგნის წაკითხვის სურვილი გაუჩნდეს, მაია ლორიამ შეძლო ამ საინტერესო ადამიანის მოძებნა, მითხრა თუ არა ამ თამაშის შესახებ, დავინტერესდი და შედგა ეს თანამშრომლობა, უნდა სხვა სკოლებშიც გაგრძელდეს ეს პროექტი და განზოგადდეს, ყველამ უნდა ითამაშოს და ეს არაჩვეულებრივ შედეგზე გაგვიყვანს."

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "პირველ რიგში მოწვევისთვის მადლობა სკოლის დირექტორს, ლენა ხაჟალიას და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, მაია ლორიას, მსმენია მისი ნიჭიერების შესახებ, ის მაძიებელი მასწავლებელია. სასიამოვნოდ გასაოცარი აღმოჩნდა ლევან გელაშვილის მოსმენა, დავინახე ამ ადამიანის განათლების დონე, "ვეფხისტყაოსნის" ათვისება სკოლაშიც უჭირთ და სასკოლო ასაკის შემდეგ იგი არავის ახსენდება, პოპულარიზაცია თამაშების მეშვეობით _ საინტერესო იდეაა. შესაძლებელი ხდება მოსწავლების ჩართვა ტექსტის ათვისებაში, მით უმეტეს, ასეთ დროს, როცა მოსწავლეები ხედავენ, რომ საინფორმაციო საშუალებები გაჯერებულია მკვლელობის შესახებ ცნობებით, ვგებულობთ სუიციდური ინტერნეტ- თამაშების შესახებ... ეს არ ანაცვლებს წიგნს, ეს დამხმარე საშუალებაა, ტექსტის კარგად ცოდნა განაპირობებს მათ გამარჯვებას, მეთერთმეტე სკოლის ეს ინიციატივა განვაზოგადოთ სხვა სკოლებზე, იმიტომ, რომ მარტო საუბრები ძალადობის წინააღმდეგ არ არის საკმარისი."

საახალწლო კარნავალი მე-2 ბაგა-ბაღში

ნინო ნანიტაშვილი

საახალწლო კარნავალი მე-2 ბაგა-ბაღში 21 დეკემბერს გაიმართა. 5-6 წლიანთა ორმა ჯგუფმა წინასაახალწლო განწყობა შეუქმნა მოწვეულ სტუმრებს. თეთრი ბუშტებით შემკულ ნაძვის ხესთან ერთდროულად გაიღვიძეს ანგელოზებმა და სანტა კლაუსმა. იდეაში ჩადებული იყო, მონაწილეებს შთაბეჭდილება მოეხდინათ და მოეხიბლათ სანტა კლაუსი, რომელიც დიდი ინტერესით უყურებდა ზეიმს.

პატარების მიერ შესრულდა ტრადიციული საახალწლო სიმღერები ქართულ და უცხოურ ენებზე. სტუმრებს სიამოვნებას გვრიდა კარნავალის მონაწილეების მხიარული განწყობა, რაც დარბაზისთვისაც გადამდები იყო.

ღონისძიების მსვლელობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ბაგა-ბაღის თანამშრომლები, რაც გამოიხატა მათი მონაწილეობითა და ასევე ბავშვების მომზადების დონით. პატარებმა საუკეთესოდ გაართვეს თავი იმ როლებს, რომლებიც მთელი სერიოზულობით ჰქონდათ მორგებული, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის ბაგა-ბაღის მმართველს, ინგა კვერნაძეს, მეთოდისტს, იზოლდა ახობაძეს, 5-6 წლიანთა ჯგუფების აღმზრდელებს, თანაშემწეებს და ძიძებს.

ზეიმს უფრო შთამბეჭდავს ხდიდა მუსიკის პედაგოგი, ლელა ჯოგლიძე, რომელიც ჯერ ფორტეპიანოს უკრავდა და მოგვიანებით სანტა კლაუსის როლიც მოირგო.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა გაგუამ მადლობა გადაუხადა მე-2 ბაგა-ბაღს წარმოდგენილი ღონისძიებისთვის და იქ მყოფ საზოგადოებას ახალი წელი მიულოცა.

სტუმართა მხრიდან ღონისძიება შეაფასა ასევე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ დავით ბახტაძემ.

პირბადის ქვეშ

თუკი ვინმეს გავაგონე ჩემი გულის ფეთქვა ფერიდი, რომელმაც ბავშვობა მომანატრა

თეა ბაბუნაშვილი

სადარბაზოში კიბის საფეხურებს ბავშვობის მოგონებები აჭყვა. ისევ ის კარი, თანაკლასელთან მისულებს ფართოდ რომ გაგვიღებდა მუდამ ღიმილიანი ნუნუკა დეიდა. ეს მესამეზე, მეოთხეზე კი დამრიგებელი ცხოვრობდა, ძალიან ლამაზი და საყვარელი ნანა კიკალიშვილი. აღარ არის ნანა მასწავლებელი, სევდით მისწვდა მზერა მეოთხე სართულის ერთ ფერწასულ კარს. მისი ვაჟიც ჩვენი თანაკლასელი გახლდათ და... ასე იკრიბებოდა ნანა მასწავლებელთან სამეცადინოდ მისული თითქმის მთელი ჯგუფი გაკვეთილების შემდეგ ამ საერთო საცხოვრებლის მესამე და მეოთხე სართულზე. ჰო, ერთხელ, შატალოზე წასულები სწორედ აქ მოვედით და ნანა მასწავლებლის გამომცხვარი ნამცხვარი მივირთვით. მერე წლები გავიდა მერხებთან, მერხების შემდეგ... ასაკი დაგვეტყო წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს. მოგონებებმა ისევ იძალა ამ სადარბაზოში და როგორც არასდროს, ისე მომინდა ასკინკილით ავყოლოდი კიბეს.

ტელეფონით საუბრისას მისამართი მახსოვს-თქო ვუთხარი. კარში ბატონი მერაბი შემეგება. მერაბ წილოსანის ოჯახში მოვედი, მის მეუღლესთან რესპონდენტის ამჰლუაში სასაუბროდ. "მისამართი გახსოვს არა? ახლა, რომ შემოდი, მგონია, ჩემი გოგოებიც სახლში არიან." _ მესიამოვნა მისი სიტყვები. ნუნუკა დეიდას ღიმილი წლებს არ შეუცვლია, კვლავ ისეთი მხიარული შემხვდა, როგორც მოსწავლეობისას მხვდებოდა. მერე გოგოებს შეეხმიანა ტელეფონით, აქ არისო. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერც თანაკლასელის მშობლების ნახვა მაქცევდა პატარა გოგოდ. ჰოდა, სასაუბროდ დავჯექი იმედიან და მხიარულ ნუნუკა დეიდასთან. დიდი სიყვარულის ისტორია მოვისმინე, აქამდე რომ გრძელდება, ბევრისთვის გასაკვირად და შესაშურად იგივე იდუმალებით, 40 წელზე მეტი ხნის წინ რომ დაიწყო.

ეს გახლავთ სახლი, სადაც ტრიო "სიმები" დაიბადა. ქალბატონი ნუნუკას არაერთ ლექსზე შექმნილი სიმღერებით ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის არაერთ ქვეყანაში უმოგზაურია მას.

"თუ რითმაში ჩავაქსოვე რაც მინდოდა მეთქვა, თუკი ვინმეს გავაგონე ჩემი გულის ფეთქვა..." წერს ქალბატონი ნუნუ და ახლა სწორედ მასთან ვისაუბრებთ იმაზე, რომ "დრო ჩიტივით მიფრინავს, დრო არ დაგველოდება. გულს ვერაფერს დააკლებს, გული არ დაბერდება."

_ გურული ქალბატონი სამტრედიაში თითქმის ნახევარი საუკუნის წინ შექმნილმა ოჯახმა ჩამოგიყვანათ. ბუნებრივია, სამტრედია კარგად გიცნობთ, მაგრამ კიდევ ერთხელ, თავად როგორ წარუდგენთ თავს ნაცნობ-მეგობრებს?

_ მართლაც, რა მალე გაფრინდა წლები... ნუნუკა არა, სინამდვილეში თინათინი მქვია. ლანჩხუთში დავიბადე და გავიზარდე. კარგი მოსწავლე ვიყავი. სამედიცინო ტექნიკუმი წარჩინებით დავამთავრე თბილისში და კონკურსის შედეგად მაშინ ახლადაშენებულ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოვხვდი სამუშაოდ. ჩემმა პედაგოგმა, პროფესორმა გიორგი ბოჭორიშვილმა თავად წამოიყვანა ამ კონკურსზე. საოპერაციო ბლოკის, უშუალოდ აკადემიკოს მამედ კომახიძის ექთანი გახლდით. ასე დაიწყო უდარდელი ბავშვობის შემდეგ ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი. ეს გახლავთ დრო, სანამ მერაბი გამოჩნდებოდა ჩემს ცხოვრებაში...

_ და როგორ გამოჩნდა მერაბი თქვენს ცხოვრებაში?

_ მერაბიც გურულია წარმოშობით. მათი ძირი ოჯახი ლანჩხუთში, ჩემი სახლიდან არც ისე შორს იყო. ჩემსა და მისი ბიძაშვილის ოჯახებს კი საერთო ღობე ჰქონდათ. ამასთანავე, ჩემი ნათლიაც იყო ეს ოჯახი. იმდენად ახლო და თბილი ურთიერთობები გვქონდა, სტუმრები რომ გვყავდა, სუფრასთან ერთმანეთს ვეძახდით. მერაბი და მისი მშობლები რომ ესტუმრნენ, ჩვენც მიგვიწვიეს. პირველად მაშინ ვნახეთ ერთმანეთი. მეორე დღეს რაღაც ჩემს საქმეზე გადავედი. სტუმრები ისევ არ წასულიყვნენ, ის კი არა, მერაბი მაშინ ძალიან პოპულარულ სიმღერას, "ქუჩა-ქუჩა დავდივარ და გულით სევდას დავატარებ..." ასრულებდა ფორტეპიანოზე. რასაც შეხედვა და დაკვირვება ჰქვია, მაშინ შევხედეთ ერთმანეთს. მერე ჩემს მშობლებს ნათლიაჩემის ოჯახმა უთხრა, რომ მერაბი და მისი დედ-მამა ჩემით დაინტერესებულან. მაშინ ეს იყო და ეს. ერთ დღეს, სამსახურში ოპერაციიდან გამოსულს, მეუბნებიან, რომ ვიღაც ძალიან სიმპათიური, გემოვნებით ჩაცმული ბიჭი მელოდებოდა. მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს ცოტა რთული იყო კარგ საავადმყოფოში სამკურნალოდ მოხვედრა. ჩემი რაიონიდან ჩამოსულებს თუ დასჭირდებოდათ, ამაში ვეხმარებოდი. ცოტა გამიკვირდა ასე აღწერილი ბიჭი ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, ვინმეს დახმარება სჭირდებათქო. საოპერაციოდან გამოსული თავსაბურავით, ხალათით პირდაპირ მის სანახავად გავეშურე. გოგოებმა არ გამიშვეს, მოწესრიგდი, თავად იმდენად მოწესრიგებული და სიმპათიურია, ასე როგორ გახვალო. თურმე უთქვამთ, სამი-ოთხი საათი დააგვიანდება, დიდხანს გასტანს ოპერაციაო, მაგრამ ის მაინც მოთმინებით მიცდიდა. გავედი და... მერაბი აღმოჩნდა! ასე დაიწყო და გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. არ შეიძლებოდა, მერაბი _ ლამაზი, განათლებული, კარგად აღზრდილი, ძალიან კულტურული, გემოვნებიანი ვინმეს არ შეჰყვარებოდა. ასეთი ქალი არ მეგულება და ბედნიერი ვარ, რომ იგი ჩემით დაინტერესდა. მერე თითქმის მთელი ცხოვრება გავიდა. მერაბი წლებს არ შეუცვლია ურთიერთობებში. მე ჩვეულებრივი ტრადიციული ოჯახიდან გახლდით. მერაბი ძალიან ცნობილი და წარჩინებული ოჯახის შვილი იყო. ეს არასდროს შეუმჩნევია არც მას და არც მის ღირსეულ ოჯახს. პირიქით, მიმიღეს ისე, როგორც სადღაც წასული და დაბრუნებული ქალიშვილი.

_ ვინ იყო მისი ოჯახი?

_ დედა ექიმი ჰყავდა, სტომატოლოგი ელიკო ტალახაძე. მამა აკაკი წილოსანი ამიერკავკასიის სამტრედიის რკინიგზის განყოფილებაში 45 წლის განმავლობაში სამგზავრო განყოფილების უფროსი გახლდათ. ამ გვარ-სახელების უკან კეთილშობილი ადამიანები იდგნენ, გულისხმიერი და ძალიან განათლებული მშობლები. ჩემი დედამთილი ადრე გარდაიცვალა თირკმლების უკმარისობით. მაშინ ამდენი საშუალება არ იყო ამ დაავადების სამკურნალოდ. საბჭოთა კავშირში მხოლოდ 5 ცალი შემოდიოდა პრეპარატი "ხაპიდოლი", რომლის შოვნასაც ჩემი მამამთილი ახერხებდა და ამ წამლით წლები აცოცხლა.

ჩემი მამამთილი გახლდათ ადამიანი, რომლისთვისაც წარმოუდგენელი იყო, მეგობარს, მეზობელს, უბრალოდ, მას, ვისაც სჭირდებოდა, შეძლებისდაგვარად არ დახმარებოდა. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, შვილს, შვილიშვილებს, არ არსებობდა ბარიერი, მათთვის რომ არ გადაელახა.

თუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ბედნიერია, ერთ-ერთი მეც ვარ, მართლა ბედნიერი გახლდით იმ გარემოცვით, რომელშიც ვტრიალებდი. ძალიან თბილი და მოსიყვარულე ოჯახი გვქონდა. ამგვარი ურთიერთობების წყალობით, სრულიად ბუნებრივად ვეძახდი დედამთილს დედას და მამამთილს _ მამას. სათვალე რჩებოდა ზოგჯერ სახლში და აიენიდან მამა, მამა რომ დავუძახებდი კიბეზე ჩასულს,

ბევრს ვისაც გაუგონია, გაკვირვებულს უკითხავს, არ გიჭირსო. რა ვიცი, მეტი რა გითხრათ, გვქონდა მეგობრების, კოლეგების სიყვარულითა და პატივისცემით სავსე ოჯახი, სადაც მუდამ იკრიბებოდნენ კარგი ადამიანები, ისმოდა კარგი ქართული სიმღერა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სიყვარული იდგა.

_ ეს გახლდათ სახლი, სადაც შეიქმნა და მერე არსებობა განაგრძო საქართველოსა და მაშინდელ საბჭოეთში ცნობილმა ანსამბლმა "სიმები". როგორც ვიცი, თქვენს ლექსებზე დაწერილ სიმღერებსაც ასრულებდნენ ისინი.

_ დიახ, მერაბი, დათო კოპალეიშვილი და სერგო კრავეიშვილი რეპეტიციებს აქ გადიოდნენ. ევროპის ყველა ქვეყანა აქვთ შემოვლილი სიმღერით. ჩემი რამდენიმე ლექსიც აამღერეს.

_ ყველაზე ცნობილი მათ შორის "ფერიაა" ხომ? მე მახსოვს, ამ ლექსს რომ წერდით, მაღალი წნევა გქონდათ ...

_ უფრო სწორად, პირველი ლექსი, რომელიც სიმღერისთვის დაიწერა "ფერიაა". სერგო მოვიდა, მელოდია დავწერე და ლექსი მინდაო. უნდოდა მისამღერი ასე ყოფილიყო _ "ფერია, ფერი, ფერია ..." მე ცოტა გვიან, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ლექსების წერა შემეძლო და ჩემთვის ვწერდი ხოლმე. ჰოდა, სერგო მოვიდა და მერაბმა ოთახის კარი გარიდან გადამიკეტა, სანამ ამ მელოდიისთვის ლექსს არ დაწერ, გარეთ არ გამოგიშვებო. ვუთხარი, ასე არ შემიძლია-თქო, თანაც მაღალი წნევა მქონდა, მაგრამ სულ რაღაც ნახევარ საათში ლექსი მზად იყო. მერე სხვა ლექსებიც აამღერა მერაბმა "გულს ემღერება", "სიმები", "სულ უბრალოდ", "სიყვარულის წლები", "ცისფერ და ალისფერ". ერთხელ კონცერტი ჰქონდათ მოსკოვში, "ოსტანკინოში". სხვა რესპუბლიკებიდანაც მღეროდნენ ანსამბლები მშობლიურ ენაზე. ტექსტებს ამოწმებდნენ. თითქმის ყველა მათგანს შენიშვნა მისცეს, ავტორს დაუკავშირდით და ეს და ეს შეცვალოსო, მხოლოდ "სიმებს" არ დასჭირდა შეცვლა. მაშინაც ჩემს ტექსტზე დაწერილ სიმღერას მღეროდნენ.

მანამდე კი სამტრედიაში ძალიან ცნობილი ანსამბლ "ცისარტყელას" სოლისტები იყვნენ სერგო და მერაბი. მათთან ერთად ანსამბლში თქვენი ხელმძღვანელი, ბუთულო გოგიაც უკრავდა. შეყვარებულები იყვნენ და მე და მერაბი რომ დავქორწინდით, მალევე დაქორწინდნენ ბუთულო და მედიკო ჭკადუა. მერე სკოლაში მე და მედიკო ერთად ვმუშაობდით, ის პედაგოგი გახლავთ, ძალიან კარგი ადამიანი, კარგი მეგობარია. ძალიან ლაღი და ლამაზი წლები იყო, სითბოთი სავსე.

_ მე ნუნუკა დეიდა ექთნადაც მახსოვს სკოლაში, მაშინ რკინიგზის 24-ე საშუალო იყო დღევანდელი მეთერთმეტე საჯარო სკოლა.

_ სამტრედიაში რომ ჩამოვედი, თავდაპირველად რკინიგზის საავადმყოფოში დავიწყე მუშაობა საოპერაციო ბლოკში. მერე შვილიც გამიჩნდა, დედამთილს მოვლა სჭირდებოდა და ვეღარ შევძელი მუშაობის გაგრძელება. ამის შემდეგ ექთნად გადავედი მაშინდელ 24-ე სკოლაში.

_ მოსწავლეობისას ამ სახლში არაერთხელ ვყოფილვარ და მახსოვს, რომ მუდამ ღიმილიანი ნუნუკა დეიდა იყო ჩემი თანაკლასელის დედა, რომელიც არაფერს გვიშლიდა, მაგრამ თავად როგორ შეაფასებთ, როგორი დედა იყავით?

_ ძალიან დამთმობი. ვერ ვეუბნებოდი შვილებს უარს საკუთარი სურვილების ასრულებაზე, ვერ ვიყავი მომთხოვნი. ბუნებით არ ვარ მკაცრი და ვერც შვილებთან გამოვიჩინე სიმკაცრე. ცუდი მოსწავლეები არ იყვნენ, განსაკუთრებით თამუნა, მაგრამ სწავლობდნენ ისე, როგორც სწავლობდნენ. უფროსმა ქალიშვილმა ეკამ მუსიკალური განათლება მიიღო. ახლა პედაგოგად მუშაობს თბილისის ერთ-ერთ სამუსიკო სკოლაში, ძალიან კარგი და წარმატებული შვილების დედაა. მისი ქალიშვილი ანი წარჩინებული მოსწავლეა. სწავლობდა ბრიტანულ აკადემიაში. საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს როგორც მოდელს. ვაჟი გიორგიც კარგი მოსწავლე და პერსპექტიული კალათბურთელია.

ჩვენი უმცროსი ქალიშვილი თამუნა, ამჯერად უმუშევარია. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული და უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტები დაამთავრა. თითქმის 11 წელი იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტში მუშაობდა მრჩევლად. არის პირველი კატეგორიის იურისტი. სტაჟირებაზე ისე მოეწონათ, უყოყმანოდ დაასაქმეს. შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაიყვანეს სამუშაოდ, თუმცა მერე იქიდანაც წამოვიდა.

_ აღნიშნეთ, ოჯახური იდილია არასდროს მოგვკლებიაო. რა ადგილი უნდა ეჭიროს ოჯახში დიასახლისს, ზოგადად, ქალს?

_ ახალს ვერაფერს ვიტყვი იმით, რომ ქალი ოჯახის ბურჯია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ოჯახს დიასახლისი, ოჯახის ქალი, პირველ რიგში, უნდა ეიმედებოდეს. ბევრის მოთმენა უნდა შეეძლოს ქალს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოუთმენელი უნდა მოითმინოს. ყველა და მათ შორის ჩემს ოჯახს აქვს რაღაც პრობლემები, მაგრამ ქალი უნდა იყოს ის პირველი, ვინც მათი მოგვარების გზებს გამოძებნის. ამაში არა ეკონომიურ, არამედ მორალურ მხარეს ვგულისხმობ. ჩემმა მამამთილმა იცოდა თქმა _ ნუნუკა სახლშია და ვიცი, ყველაფერი კარგად იქნებაო. უსიამოვნებაც რომ შემხვედროდა, სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ მამაკაცებს მაინც კარგ ხასიათზე დავხვდებოდი. ღიმილიანი ქალი, ვფიქრობ, ბევრ პრობლემას აგვარებს ოჯახში, გაკაპასებულ ქალზე გაცილებით მეტს. და რაც მთავარია, უფრო ადვილად წყვეტს მათ. ოთხმოცდაათიანებში, იმ ცუდ წლებში, როგორც ყველას, ჩვენც გაგვიჭირდა. ჩემი მამამთილი გარდაცვლილი გახლდათ, მერაბმა სამსახური დაკარგა, დანაზოგი ბანკებმა გააკუპონა. ცუდი დრო იყო ყველასთვის, დიდი განსაცდელი იდგა ქვეყანაში. მაინც ვცდილობდი და ვახერხებდი ემოციები მომეთოკა და ოჯახის წევრებისთვის, განსაკუთრებით მერაბისთვის, სიმშვიდის შენარჩუნებაში შემეწყო ხელი. ამას ქალის, ოჯახის დედის მოთმინება სჭირდება და ეს მოთმინება აუცილებელია ყველა სრულფასოვანი ოჯახისთვის.

თანამედროვე ახალგაზრდების არ მომწონს ის, რომ ერთი ხელის მოსმით ანგრევენ ოჯახს, სულ პატარა გაუგებრობის გამო. ოჯახის დანგრევა ადვილი საქმე არ არის და თუ გიღირს, უნდა მოითმინო. მაგრამ უნდა მოითმინო ის, რისი მოთმენაც შენს პიროვნებას და შენი შვილების მომავალს არ შეურაცხყოფს.

_ რამდენიმე წელიც და თანაცხოვრების 50 წლიან იუბილეს იზეიმებთ. რა ძალაა ერთმანეთი ასაკში შესული ცოლ-ქმრისთვის?

_ პირველ რიგში, სიმყუდროვეა. სიმშვიდე ყველაზე მთავარია ადამიანისთვის და ასაკში შესული ცოლ-ქმარი სწორედ ერთმანეთში პოულობს მას. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ შვილებისთვის დედმამა ყოველთვის, ყველა ასაკში იმედია. ეს იმიტომაცაა ასე, რომ უპირველესად ერთმანეთის იმედია ცოლ-ქმარი და სწორედ მათი ერთობა ეიმედებათ შვილებს. წლები ერთ ნაწილად, ერთ მთლიანობად აქცევს ორ სხვადასხვა ადამიანს, ქალს და კაცს. ცოლს და ქმარს არქმევს და მათ კავშირს ერთობის გვირგვინს ადგამს. რაც არ უნდა დაძაბული ურთიერთობა ჰქონდეთ ცოლ-ქმარს, ასაკში შესულებს მაინც განსაკუთრებულად ეიმედებათ ერთმანეთი. დიახ, უცებ გაფრინდნენ ის წლები განუსაზღვრელი სიყვარული და ბედნიერება რომ მოიტანეს, მაგრამ წინ კიდევ დიდი დროა. განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, მას იმ დიდი სიმყუდროვის, იმედის და სიყვარულის გვერდით რომ გავლევ, რომელსაც ჩემი ოჯახი და ჩემი მეუღლე ჰქვია.

მოდის ახალი წელი და...

მოდის მოლოცვები, კეთილი სურვილები იმ ადამიანებისაგან მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით რომ არ კმაყოფილდებიან და სრულიად საქართველოს აღორძინებაზე, ყოველი ოჯახის, თითოეული ადამიანის უკეთეს მომავალზე რომ ფიქრობენ, იღვწიან ჩუმად, უპრეტენზიოდ.

ღირსეული სამტრედიელი, სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი **ვაჟა თვალავაძე** ერთ-ერთი პირველი შეგვეხმიანა დედაქალაქიდან და წრფელი გულით მოგვილოცა სამტრედიელებს, "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის თანამშრომლებს ახალი 2018 წლის მობრძანება და ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული:

"სამტრედიის მაცნეს" ყოველ ახალ ნომერს ინტერნეტის მეშვეობით ვეცნობი, მახარებს ჩემი მშობლიური ქალაქის სასიკეთო ფერისცვალება, ახალგაზრდების, სპორტსმენების თვალსაჩინო მიღწევები, მრავალ ახალ წელს დაესწარითო":

განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, ჩვენი გაზეთის დიდი ხნის ერთგული მეგობარი ბატონი **შუქრი ურუშაძეც** კეთილი სურვილებითა და უკეთესი ხვალის იმედით გვილოცავს ახალ წელს.

როგორც პედაგოგმა მინდა, ახალგაზრდობას მეტი წიგნიერებისაკენ მოვუწოდო, შრომა და გარჯა კიდევ უფრო დაგვფასებოდეს პედაგოგებს, ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ". _ გვითხრა ბატონმა შუქრიმ.

"ვინ იცის, რა სიდუხჭირე, გასაჭირი გადავიტანეთ ჩვენმა თაობამ. მეორე მსოფლიო ომი მაინც საშინელება იყო, რამდენიმე ვეტერანიღა დავრჩით სამტრედიაში. გილოცავთ ახალი წლის მობრძანებას, ქრისტეს შობის დღეს, ღმერთმა ყველა გახარებულები, ბედნიერები გამყოფოთ. ვულოცავ სამტრედიელებს, სრულიად საქართველოს, ჩემი ხნისა მოიყარეთ". _ სიტყვაუხვობს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარე, 94 წლის **რევაზ კანდელაკი.**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამტრედიის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსი ქალბატონი **მანანა მსხილაძეც** გულწრფელად, თბილად ულოცავს სრულიად საქართველოს, სამტრედიელებს, "სამტრედიის მაცნეს" თანამშრომლებს დამდეგ ახალ წელს და ერთობ სასიამოვნო ინფორმაციასაც გვაწვდის, რომ 2017 წლის ნოემბრის მონაცემებით, სამტრედიაში 212 ახალშობილია დარეგისტრირებულიო და დასძენს, რომ გაცილებით მეტი სამტრედიელი მოევლინა ქვეყანას, რომლებიც სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში დაიბადნენ.

ჩვენც ვულოცავთ ჩვენს ერთგულ მეგობრებს. ბედნიერი ახალი წელი გათენებოდეთ!

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" კოლექტივს!

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყოველგვარ სიკეთეს თქვენს ოჯახთან ერთად. მუდამ გქონოდეთ წარმატებები სამსახურებრივ და პირად საქმიანობაში.

დიდხანს გეღვაწოთ "მაცნეს" რედაქციაში.

ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

დიდი პატივისცემით რევაზ შამათავა

ვულოცავ!

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" კოლექტივს მომავალ 2018 წლის შობა-ახალ წელს. გისურვებთ მრავალ სიხარულსა და ბედნიერებას თქვენი ოჯახებითა და ყველა კეთილისმსურველებით.

თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ავთანდილ კაჟია

მრავალი წლის საიმედო გამოცდილება!

კარგი მიღწევებით ამთავრებს 2017 წელს სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი. დეპოში ბევრი ღირსეული ადამიანი მუშაობს. მათ შორისაა საპატიო რკინიგზელი რომან ჩხაიძე, იგი სოხუმელია. ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რკინიგზელი ბაბუას რჩევით მუშაობას იწყებს სოხუმის სალოკომოტივო დეპოში მემანქანის თანაშემწედ. 1981 წელს გაიარა მემანქანის კურსები და 1982 წლიდან ელექტრომატარებლების მემანქანეა სოხუმი-სოჭი, სოხუმი-წყალტუბოს მიმართულებით. აფხაზეთის ომის დროს სამტრედია-სოხუმის უბანზე მუშაობდა. გადაჰქონდა სურსათ-სანოვაგე. გადაჰყავდა დაჭრილები. შემდგომ მუშაობას იწყებს სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში, სადაც აწინაურებენ მემანქანე ინსტრუქტორად. რამდენიმე წელი ემსახურა ახალგაზრდების აღზრდას მემანქანის თანაშემწედ და მემანქანედ. ამჟამად ბატონი რომანი დააწინაურეს დეპოს უფროსის მოადგილედ რემონტის დარგში. ის ახალი ენერგიით და გამოცდილებით სინჯავს დეპოში შესაკეთებლად შემოსულ ყოველ ელმავალს შემკეთებლებთან ერთად. თავის ცოდნას ახმარს, რომ დაჩქარდეს ელმავლის გაშვება. უყვარს თავისი საქმე ბატონ რომანს და ბევრ ახალგაზრდასაც შეაყვარა შრომა.

ამაგი უფასდება ბატონ რომანს. მას მიღებული აქვს საპატიო რკინიგზელის წოდება, ღირსების ორდენი, მილიონი კილომეტრის უსაფრთხო მოძრაობისათვის "საიმედო მემანქანის" საპატიო სახელი და მრავალი სხვა მედალი და ფულადი ჯილდო.

დეპოში მაღალი კვალიფიკაციის ერთიანი გუნდი საქმიანობს, მათი დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომის შედეგად მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები, რის შედეგადაც სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი საპატიო ადგილს იკავებს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში.

უსურვოთ დეპოს კოლექტივს უფრო დიდი წარმატებები, 2018 წელს, რითაც უდიდეს წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობასა და გაძლიერებაში.

რევაზ შამათავა

ერთი ოცნების ტყუპისცალი

დასასრული.
დასაწყისი №33, №34.

ტროპული აზროვნება გალაკტიონმა და ტიციანმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს. გალაკტიონის საოცარ და მომხიბვლელ პატრიოტულ ლირიკას, სატრფიალო ლექსებს მხარს უმშვენებენ ტიციანის ამავე მოტივებზე შექმნილი შედევრები: "სამშობლო", "მაშ, გამარჯვება", "ოქროყანა", "რია-რია" სატრფიალო ლირიკის უნიკალური ნიმუში "ანანურთან" (ლექსი ეძღვნება თამუნია წერეთელს). თუ გალაკტიონის სატრფიალო ლექსების შთაგონების წყარო მერი შერვაშიძე გახლდათ, ტიციანის მოტრფიალე გულს თამუნია წერეთელი ასულდგმულებდა. მისი გატაცება სუფთა და ციური იყო, ისეთი წმინდა, ვით ცის მანანა, ამიტომ ამხელდა თამუნია წერეთლისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში: "შენს გარდა ალბათ სხვაც მომიტევებს, რომ შენზე ვფიქრობ დღეს "თამუნია" და ეს "სხვა" ცოდვის მიმტევებელი მისი უერთგულესი და განუყრელი მეგობარი, მეუღლე ნინო მაყაშვილი იყო.

გვინდა მთლიანად მოვიტანოთ ლექსი "ანანურთან", რათა ნათლად ვიგრძნოთ ტიციანის პოეზიაში სახეობრივი აზროვნების სიღრმე და თავისებურება:

ანანურთან
თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანურთან.

შავი არაგვი თეთრ არაგვას ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.

არც კი გიცნობდი, არც კი მენახე, ისე გხატავდი თამარს ვრუბელი.

ხარ დანგრეული შენ "მოდი-ნახე", ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.

ისე ნაზია ეს მოგონება, როგორც დემონის ფრთების შეხება,

სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა, მოიბან შენი ირმის ფეხები.

დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმა, მათი ცხოვრება ხვალე იწყება,

ჩვენ მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას, დაფარავს მიწა და დავიწყება.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები,

შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.

ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური,

ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური.

პოეტი შალვა ფორჩხიძე იგონებს: "მწერალთა კავშირის სასაუზმეში მცირე სუფრას ვუსხედით... გალაკტიონი შემოვიდა, ფეხზე წამოვდექით, მივიწ-მოვიწიეთ, ჩემს წინ დაჯდა, კონიაკი მივართვით, პატარა ჭიქით დაგვლოცა და არ დალია, აღარ ვსვამ, ლაპარაკი მინდაო... გამეგონა გალაკტიონს სხვა არაფრად მიაჩნია, არავის აფასებს, საკუთარი თავის მეტი არავინ ახსოვსო. დრო ვიხელთე და მორიდებით შევეპარე: ბატონო გალაკტიონ, პაოლო იაშვილი როგორი კაცი იყო-მეთქი. ჩემი პაოლო, ჩაილაპარაკა და თვალები ცრემლებით აევსო, ცვირსახოცით მოიწმინდა და აღტაცებით შესძახა: "მინდა ავვარდე მამადავითზე, იქ აირჩიე, სულო ბინა შენ!" შეიძლება ასეთი ლექსი კაცს არ მოსწონდეს? ანდა "გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად!" დიდებული კაცი იყო, ძამიკო, უკეთესი პოეტი...

ტიციანზეც გვითხარით რამე და მეტს აღარ შეგაწუხებთ-მეთქი. "ჩემი ტიტე მართალი, პოეზიაზე თავშეწირული რია-რია ბიჭი იყო, მე ძალიან ვუყვარდი, ჩემზე მშვენიერი წერილი აქვს დაწერილი, მარტოობის ორდენის კავალერი მან მიწოდა პირველად, მშვენიერი ლექსიც მომიძღვნა". გაიხსენა ტიციანის ლექსი: "ჩემი სამშობლო _ საქართველო სხვა თეატრია..."

პაოლო და ტიციანი, ორივე, ბოროტმა, შურიანმა ხალხმა დაღუპა. მე მაშინ გადავურჩი მოჩმახულ ჭორებსა და ცილისწამებას, მაგრამ არ ვიცი, აწი რა მელის... მაგრამ ვიცი... "მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის.

გალაკტიონის 1936 წლის 25 სექტემბრის დღიურში ვკითხულობთ: "სახელგამში ვათვალიერებდი "ქართველ მწერალთა ანთოლოგიას". იქ სამი ახალგაზრდა ჰკითხულობდა გრიშაშვილის ლექსს:

_ ო, ეს მამაძაღლი! რა ნიჭიერია, რომ ეხლაც სწერდეს...

_ თქვა ერთმა.

_ გალაკტიონ ტაბიძე და მაგი, აი ძმაო, _ დაუმატა მეორემ _ პირველები არიან.

_ გალაკტიონ ტაბიძე მაგასთან სად მოვა _ შეაწყვეტინა მესამემ.

_ გალაკტიონ ტაბიძე ეხლა რომ სწერს, ისე კი არ სწერდა _ თქვა მეორემ...

მე არ შევუმჩნევივარ, მაგრამ საგულისხმო საუბარი კი იყო. დავიმახსოვროთ!

მე მგონია ეს გრიშაშვილის, შანშიაშვილის, ყანწელების და სხვების პოზიციის გამოძახილია.

ამ ჩანაწერიდან თითქმის ყველაფერი ნათელია. პოეტისთვის სიმაღლე მართლაც წამება იყო. ბევრი მტერი და მოშურნე გაიჩინა, მაგრამ იქვე დასძენს: ეხლანდელმა მათმა მდგომარეობამ ცოტათი აამაღლა ისინი, მაგრამ როდემდის?

ეხლა მე ვიცი, დაპყრობილი პოზიციების გამაგრება როგორ უნდა.

რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავალაპარაკო ყველა ჩემს პოეტურ მიღწევებზე, რომელთაც მარხავენ" ("გალაკტიონოლოგია", თბ. 2003 წ. გვ.18).

თვალსაჩინო მწერალი ნუგზარ წეროეული დიდი სიყვარულით იხსენებს ბუმბერაზ გალაკტიონთან შეხვედრის უნეტარეს და უბედნიერეს წუთებს.

"ეს იყო 1959 წლის იანვარში ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღე იყო და საღამოს ყველანი შევიკრიბეთ "ზემელზე", დათქმულ ადგილას, შემდეგ იქვე შევედით კაფეში და კედელთან მყუდრო ადგილას გრძელი მაგიდა დავიკავეთ...

უცებ კაფეში გალაკტიონი შემოვიდა, შავი გრძელი პალტო ეცვა, სქელი, რუხი ფერის კაშნე ყელზე ირიბად ჰქონდა გადაგდებული. ამ სიცივეში ქუდი არ ეხურა და სქელ თმა-წვერზე თითქოს თრთვილი დასდებოდა.

მე და ერთი ჩემი მეგობარი ხელად წამოვხტით, უსაყვარლეს პოეტს მივესალმეთ და ვთხოვეთ, თუკი დრო ჰქონდა მობრძანებულიყო ჩვენს სუფრასთან. დაგვთანხმდა, მოვიდა, ყველას ხელი ჩამოართვა და დაჯდა..."

სასიქადულო პოეტმა ყველას გამოჰკითხა, ვინ რას საქმიანობდა, რა პროფესიის წარმომადგენელნი იყვნენ. ჩვენ, ჩვენი მხრივ რამდენიმე კითხვა დავუსვით პოეტს პოეზიაზე და სხვადასხვა მწერლებზე, მათ შორის ასეთი კითხვები:

_ "ცისფერყანწელი" იყავით თუ არა?

→

_ ''არ ვყოფილვარ. მართალია, მათთან ახლოს ვიყავი და თანავუგრძნობდი, მაგრამ მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და ვიცოდი, როგორ უნდა მევლო.

_ სიმბოლიზმის გავლენის შესახებ თქვენს პოეზიაზე რას ბრძანებთ?

მართლაც ძლიერ განვიცდიდი, ძამიკო, რევოლუციის შემდეგ გადავლახე ჩემს შემოქმედებაში არსებული ბევრი წინააღმდეგობა, მაგრამ დღემდე ვთვლი, რომ სიმბოლიზმის გავლენამ ქართულ პოეზიას სარგებლობა უფრო მეტი მოუტანა. პირადად მე: რემბო, ბოდლერი, მალარმე, ვერჰარნი, ერედია თუ სხვები ძალზე საინტერესო, ნიჭიერ პოეტებად მიმაჩნია, ფრანგული პოეზია კი ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში.

ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, თითქოს თქვენ უთანხმოება გქონიათ ტიციან ტაბიძესთან, თითქოს ტიციანს შურდა თქვენი წარმატებების და ერთხელ ფიზიკური ჩხუბიც კი მომხდარა თქვენს შორის.

_ ტყუილი უთქვამთ, ძამიკო, სისულელეა ეს ყველაფერი. ტიციანი მე ძალიან მიყვარდა ბრწყინვალე პოეტადაც ვთვლიდი. ასევე ფიქრობდა ალბათ ისიც. გასაყოფი ჩვენ არასოდეს არ გვქონია. არასოდეს! ღვიძლი ბიძაშვილები ვიყავით ძმებივით გაზრდილები. როცა პოეტების მეფედ მირჩევდნენ არც ტიციანი ყოფილა წინააღმდეგი, არც პაოლო, არც ნიკოლო და არც არავინ. ასეთი სიცრუის გავრცელება არ არის სწორი (''შოგონებანი გალაკტიონზე'' თბ. 2009 წ. გვ.179).

1927 წელი. გამოვიდა გ. ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი 542 გვერდისაგან შემდგარი ''ლექსთა კრებული მომძიმო ტანის, ჰაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა, განცდათ წალკოტი, პირდაპირად ყვავილით სავსე, მგრძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი...'' წერდა ვასილ ბარნოვი.

ამ წიგნის გამოცემას მიეძღვნა ერთდროული გაზეთი _ სალიტერატურო ბიულეტენი ''გალაკტიონი-1927-ტფილისი'', სადაც დაბეჭდილია დავით კლდიაშვილის, ვალერიან გუნიას, შალვა დადიანის, ია ეკალაძის, ვარლამ რუხაძის, შიო მღვიმელის, სანდრო შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, ლიდია მეგრელიძის და სხვათა წერილები, ლექსები მიძღვნილი სწორუპოვარი პოეტისადმი. ისინი ერთსულოვნად აღიარებენ გალაკტიონის პოეტურ ნიჭსა და ტალანტს.

''შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? სადღაა ილია ან აკაკი? ანდა ახლები? გადაღმა დარჩნენ და შენ წინ მიდიხარ ჟინჟღლიან ჩირაღდნით... როგორც მე ჩემს თავს, ისე ვერც შენ მიგაკუთვნებ რომელსამე არსებულ შკოლას, მაგრამ ყველგან კი ჰპოვებ ნათესაობას. რეალიზმი, რომანტიზმი, სიმბოლიზმი და ყველა სხვა ''იზმი'', ჩემის აზრით, შენთვის მხოლოდ ნიადაგია, საიდანაც ნათესაურს მიიღებ, მაგრამ არ დაემორჩილები'' (სანდრო შანშიაშვილი).

''მისი ღელვა, მისი სულისკვეთება ერთმა კი არა, მრავალმა გაიგონა, მრავალთა გულს მოხვდა და აღელვა... გალაკტიონის განცდანი მარტო მას კი არ ეკუთვნის _ იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი... შვენება და სიამაყე ქართული ლირიკული პოეზიის'' (დავით კლდიაშვილი).

''გალაკტიონ ტაბიძის პოეზია პოეზიაა ყოველი დროისა... მისი წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა, ნათლად მოწმობენ, რომ იგი ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა'' (ია ეკალაძე).

1927 წელს გამოცემულ გალაკტიონის ამ სქელტანიან, უიშვიათეს წიგნს, რომელზეც უპრიანი იქნება გავიმეოროთ თავად ავტორის სიტყვები: ''სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია, ეს წიგნი ერთადერთი წიგნია...'' ტიციან ტაბიძე სპეციალური წერილით არ მისალმებია ამ დიდ ლიტერატურულ მოვლენას, მაგრამ კარგა ხნის დუმილი კი დაარღვია და დაწერა ლექსი ''გალაკტიონ ტაბიძეს'', მოგვაქვს ამონარიდი ამ ბრწყინვალე ლექსიდან:

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპისცალი,
ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი,
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უჟმურები,
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...
განუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით.

''ცისფერყანწელთაგან'' როგორც ''არტისტულ ყვავილებს'' (1919 წ.) ასევე ამ ბრწყინვალე ლექსების კრებულსაც, არც არავინ გამოხმაურებია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლაუ ნადირაძის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილ შენიშვნებს გალაკტიონის ზოგიერთ ლექსზე). კოლაუ ნადირაძე გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე კორესპონდენტ თინა ჩხაიძისადმი მიცემულ ინტერვიუში, რომელიც 1988 წლის ჟურნალ ''განთიადში'' დაიბეჭდა, შემდეგ აზრს ავითარებს:

''აკაკის ეჯიბრებოდა გალაკტიონი, სად მოვა? (აკაკისთან _ ა. თ.) კოწია გამსახურდიამაც გურამიშვილი გამოტოვა, ბატონო და რუსთაველის მერე გალაკტიონი დაასახელა, მართალია ეგ?.. გალაკტიონი თავის თავში იყო დაჯერებული, რომ ის იყო ერთადერთი. მოწყალების თვალებით უყურებდა აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს... არა, ზოგი ლექსი მართლა კარგი აქვს: '' ნიკორწმინდა'', ''მთაწმინდის მთვარე'', ''ლურჯა ცხენები'' _ ''ბოდვაა, ქრიან ბოდვები და აბდაუბდები''... პარვა უყვარდა, ლერმონტოვს პარავდა, ბალმონტსაც, ''დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ'' _ ეს აკაკია, მისგანაა წამოღებული... ''ქარის ტოტები ჯერ არავის უნახავს''...

ამ სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა კოლაუ ნადირაძის არაკეთილგანწყობილება გალაკტიონისადმი, ასეთი ჟესტით ის სხვა ''ცისფერყანწელების'' განწყობილებასაც ამჟღავნებს შეუდარებელი პოეტისადმი.

აკაკი წერეთელს აღმერთებდა გალაკტიონი, ამიტომაც წერდა ''...ვინ გაფრენა იყო ქნარის... ვინმე, მსგავსი აკაკისა არ ყოფილა და არ არის'' (იხ. პოემა ''აკაკი წერეთელი'').

''მთაწმინდის მთვარეში'' აკაკისა და ბარათაშვილის, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების მემკვიდრედ აცხადებს თავს: ''რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი''... ის აკაკის, ბარათაშვილის, ფრანგი და რუსი სიმბოლისტების გავლენას არ უარყოფდა თავის შემოქმედებაზე, მაგრამ ღმერთი, რჯული, მას არაფერი სჭირდა ისეთი, ვინმედან რამე მოეპარა, სულ სხვაა პოეტური რემინისცენციები.

მას, ისევე როგორც ვაჟა ფშაველას შეეძლო ყოველთვის მოკრძალებით მოეყარა მუხლი თავისი ლიტერატურული მასწავლებლების წინაშე, მაგრამ ისიც არ ავიწყდებოდა, რომ თავადაც მეფე იყო პოეტებისა და საკუთარი პოეზიის სამყარო გააჩნდა. არაფერია გასაკვირი იმაშიც, რომ თავის ერთადერთობაში იყო დაჯერებული. ნამდვილად ერთადერთი, გამორჩეული იყო მის თანამედროვე პოეტთა შორის.

ვერ დავეთანხმებით განსვენებულ კოლაუ ნადირაძეს იმაშიც, რომ ''ნიკორწმინდა'', ''მთაწმინდის მთვარე'' მხოლოდ კარგი ლექსებია. ეს ლექსები უბრწყინვალესი შედევრებია და ''ლურჯა ცხენები'' შედევრების გვირგვინი და არა ბოდვა. ეს უკანასკნელი ლექსი მეტად რთულად ასახსნელია, გასაშიფრავი, მაგრამ უსათუოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. პროფესორი მწერალი, კრიტიკოსი როზა დევდარიანი შესანიშნავად აანალიზებს ამ ლექსს თავის წერილში ''წითელი აპოკალიფსის ნათელხილვა'' (გალაკტიონ ტაბიძის ''ლურჯა ცხენების'' სწავლებისათვის), (როზა დევდარიანი, ''ვინ არის საღირა?!, ქუთაისი, 1993 წელი, გვ.78). პოეტმა ნამდვილად არ უნდა გაიკვირვოს და თქვას ''ქარის ტოტები ჯერ არ არავის უხილავსო'', ეს ხომ ტროპის უბრწყინვალესი ნიმუშია. ''ლურჯა ცხენები'' არის საუკეთესო ნიმუში ურთულესი მხატვრული აზროვნების, ინტეგრალური პოეზიისა. ლექსში გარკვევით იგრძნობა ავტორის სწრაფვა ყოველდღიური მეტყველების ნორმებისაგან გამიჯვნისაკენ. სიმბოლისტური მწერლობის მოთხოვნის კვალობაზე, პოეტი არცთუ იშვიათად მიმართავს ენის ლექსიკური ერთეულებისა თუ ლექსთწყობის ტრადიციული ნორმების საკუთარი ესთეტიკური პრინციპებისაებრ გარდაქმნას. ეს არის შედეგი ნოვატორული ძიების გაბატონებული ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი შემოქმედებითი მიდგომისა (გ. კანკავა. ''ლიტ. ეტიუდები'', 1964 წ.).

''ცისფერყანწელები'' თავიანთ მანიფესტში წერენ: ''ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები...'' და გასაკვირია პირდაპირ, ''ლურჯა ცხენები'' რატომ მიაჩნია პოეტ კოლაუ ნადირაძეს აბდაუბდად და ბოდვად, როცა ამ ლექსში ავტორი განუხრელად იცავს ქართველ სიმბოლისტთა საპროგრამო პრინციპს.

გალაკტიონსა და ტიციანს, არამარტო ახლო ნათესაობა აკავშირებდათ, ''ერთი იყო მათი სამუდამო ხაშმის ემბაზი'', ორპირის ფშანის ერთად სწოვეს უჟმურები, უკვდავების შარავანდედით შემოსეს რიონის ტალღად დადევნებული ''სიტყვა ანკარა''.

მსოფლიო რადიუსით, ჭეშმარიტად, ''ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით და XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის'' (ნ. ტაბიძე).

ბუმბერაზი გალაკტიონის შემოქმედებას თუ როგორ აფასებდნენ მისი თანამედროვე პოეტები და მწერლები, ეს ყველამ კარგად ვუწყით, მაგრამ არ იქნება ურიგო, თუ განუმეორებელი ტიციანის უკვდავი შემოქმედებისადმი მიძღვნილ მათ წერილებს, მოსაზრებებს გავეცნობით.

''მისი პოეზია გედის და არწივის ყივილია ერთად. ტიციანი თავის ლექსებში აერთიანებს ჭრილობებს, სიხარულსა და სიყვარულს... ტიციანი მთლიანი პიროვნება იყო და მისი პოეზიაც თითქოს ერთი მთლიანი ლექსია, ერთი დიდი ფსალმუნი'' (გ. ლეონიძე).

''ტიციან ტაბიძის პოეზია განუყრელია სიცოცხლისაგან, საქართველოსგან. მისი ლექსი სამუდამოდ არის შესული ქართველი ერის სულიერ სამკვიდრებელში. მისი პოეზიის სული გაბნეულია ქართული მიწის სუნთქვაში, საქართველოს მზის ელვარებაში'' (გურამ ასათიანი).

''ორპირის ნაპირებიდან მოსულ უცნაურ ჭაბუკს უზარმაზარი პოეტური ნიჭის მადლი ეცხო. მისი ლირიკული ლექსები ისეთი პოეტური და ღრმაა, სიცოცხლისა და ადამიანების იმგვარი სიყვარულით არის სავსე, რომ მათი ხმა პოეტის სამშობლოსაგან ძალზე შორსაც კი გაისმა... ტიციანი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია'' (ნ. ტიხონოვი).

''ტიციან ტაბიძეს მეტაფორული აზროვნება დიდად ჰქონდა განვითარებული და ამ გზით ''ლექსი მეწყერის'' ავტორმა მრავალი პოეტური შედევრი შექმნა. ''ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს''. _ ამბობდა იგი და ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს სტრიქონები უკვე ბრწყინვალე მეტაფორული აღწერის ნიმუშია'' (ს. ჩიქოვანი).

''განცალკავებით დგას პოეტი ტიციან ტაბიძე... იგი განსაკუთრებული განცდის პოეტია... მისთვის განცდა ყველაფერია და მთელ მის შემოქმედებაშია განფენილი. თუ კი ქართულ ნიადაგზე შესაძლებელია ბლოკი, მაშინ იგი უთუოდ ტიციან ტაბიძე იქნება...'' (გრ. რობაქიძე).

''ტიციან ტაბიძე გვიანდელი ეპოქის რომაელს პატრიციელს ჰგავდა თავისი გარეგნობით, მაგრამ ოსკარ უაილდის წაბაძულობით მუდამ ყვავილს ატარებდა ღილკილოში: მხოლოდ ეს ყვავილი იყო არა ორქიდეა, არამედ წითელი მიხაკი. ის განათლებული კაცი იყო, გულთბილი და ენაკვიმატი ერთსა და იმავე დროს და ძალიან კარგად იცნობდა ქართულ, ევროპულ და რუსულ ლიტერატურას'' (გერონტი ქიქოძე).

გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი პოეტების, მწერლების, კრიტიკოსების, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკების შეხედულებანი ტიციან ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ცხადყოფს, რომ სასიქადულო ბიძაშვილთან, გალაკტიონთან ერთად ''ის იყო მკვიდრი დღეთა მისთა აზრის და ფერის''. მინდა უთვალსაჩინოესი პოეტის, მუხრან მაჭავარიანის სიტყვები გავიხსენო _ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით _ ტიციანივით სისხლსავსე ბარეორმა მისმა თანამედროვე პოეტმა ვერ გამოხატა ის დრო, რომელშიც ცხოვრობდა.

გალაკტიონისა და ტიციანის შემდგომი თაობის მწერლები და პოეტები უდიდესი მოკრძალებით, სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებენ მუდამ ამ სიტყვის დიდოსტატების უკვდავ ლექსებს, მათ უბადლო შემოქმედებას. სწორედ ამ თაობის ღირსეული წარმომადგენელია დიდი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე, რომელსაც არაერთი შეხვედრა, საუბარი ჰქონია მშფოთვარე გალაკტიონთან და რომელმაც არაერთი ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა მას. მათ შორის, ლექსი ''ლეგენდად დარჩეს''. მივყვეთ ამ ლექსის მდინარებას და ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდება ღვიძლი ბიძაშვილების, შეუდარებელი პოეტების ურთიერთობის მზიანი და ჩრდილოვანი მხარეები:

გალაკტიონი ტიციანთან ყოფილა უბრად,
ტიციანს თავის პოეტებში ჰქონია სუფრა
და იჯდა თურმე ჩვენი დენდი საერთო ჯამთან _
უხორცო იყო, ცოტას სვამდა და ცოტას ჭამდა,
გალაკტიონი შემოსულა დუქანში ამ დროს
მარტო დამჯდარა, მარტოსული და უსვამს მარტოს,
არ მოუხმია ის ტიციანს, არა და არა,
და ასე უბრად უხერხულად კარგა ხანს მსხდარან.
უცებ... (მახლობლად პურს ნაჭამა რეგვნების ჯგუფი)
გალაკტიონთან ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი.
პოეტი მეფე ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის,
უკადრებია რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის...
აფეთქებია აქ ტიციანს უეცრად დენთი,
წამოვარდნილა ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჭიქა, შეუხსნია კისერზე ბანტი
და უხეთქია რეგვნულ შუბლში რეგვნისთვის კვარტი.
და დარევიან პოეტები ერთპირად რეგვნებს
და ჭახაჭუხი შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს.
და როცა ჩვენი ლომკაცები ბრძოლით გამძღარან,
დაუფრენიათ თხებივით და ომი დამცხრალა
_ ტიტე, ძამიკო! შეშლილივით აყვირებულა
გალაკტიონი და ორთავე ატირებულა...
ორპირის ფშანზე გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული
ამოსჯდომიათ, ხვევნა-კოცნა შექმნილა ძმური,
გადმოსცვენია შვების ცრემლი ტიციანს მისით,
რაც ექნებოდათ სამდურავი იციან, ვიცით!
დიდი ბავშვები! ამდგარან და დამსხდარან ერთად,
და პოეზია უთქვამთ პირველ საერთო ღმერთად.
პაოლოს გარდა ამ საქმეში ყოფილა გოგლა,
ყოფილა სმა და გადარევა ყოფილა ოხრად,
ეს ყველაფერი მე მიამბო ''არაგვში'' გალამ
და თუ ვუმატებ, ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმალავ
არამი იყოს ის წარწერა: ''სულით და გულით!''
იქ, იმ სარდაფში მიღებული ღვინო და პური!
გული გულს იცნობს, ღონე ღონეს, მარჯვენი მარჯვენს...
ლეგენდად დარჩეს მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს!

გალაკტიონი და ტიციანი ორივე პოეზიის მაღალ ღმერთს ემსახურებოდნენ. განუყოფელი დარჩათ ეზო, სახლი და კარი და მადლიერი შთამომავლობაც არასოდეს აშორებს ერთმანეთს XX საუკუნის უპირველეს პოეტთა სახელს.

აკაკი თევზაძე
პოეტი, გ. ტაბიძის
პრემიის ლაურეატი

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს დეკანოზ ვახტანგ მაღლაკელიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

კობა კიკაჩეიშვილის წარმატებებზე

ჯერ ისევ პატარა ბიჭი იყო, სპორტის ამ სახეობით რომ დაინტერესდა. მერე რა არ მოიტანა წლებმა! თავდაპირველად სამტრედიაში "ლოკომოტივის" სტადიონზე გია თადუმაძე ავარჯიშებდა. შემდეგ დედაქალაქს მიაშურა სამუშაოს საძებნელად. იქაც ვარჯიშობდა, თავის გასატანად, ფინანსური დაინტერესებით "ჩხუბობდა" კიდეც. მიხვდა, რომ ასე არაფერი გამოვიდოდა და სამტრედიაში დაბრუნდა კობა კიკაჩეიშვილი. ვარჯიშის შეწყვეტა მოუწია, მაგრამ კრივისადმი სიყვარულმა არ მოასვენა და ქუთაისში წავიდა, იქ უფრო იყვნენ სპეციალისტები. მურთაზ ბედია მოეწონა სპორტსმენი. უთქვამს თურმე, "შენ კრივი იცი და კინგ-ბოქსინგს მე გასწავლიო. მონდომებას წარმატებები მოყვა. წელს ევრაზიის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და შავი ქამრის მფლობელი გახდა. მელაურის საჯარო სკოლაში ბავშვებსაც ავარჯიშებს. დიახ, ურეკში ჩატარებულ ევრაზიის საერთაშორისო ტურნირზე ლიდერები მისი აღსაზრდელებიც იყვნენ, მათაც საპრიზო ადგილები დაიკავეს. ასევე, როგორც თავად კობა კიკაჩეიშვილი, ისე მისი მოსწავლეები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

წარმატებები ასე იწყება, ვიმედოვნებთ, დამდეგი ახალი წელი კიდევ უფრო შედეგიანი იქნება მისთვის და მისი მოსწავლეებისთვის!

და კიდევ ის, რომ ვისაც კობას ახლოს გაცნობა სურს, უნდა იცოდეს, ვინც იცნობს და, იცის, რომ იგი ქართული ფოლკლორის და ცხენის დიდი ტრფიალია, ერთი სიტყვით, ნამდვილი ქართველია, ვაჟკაცური და მებრძოლი სულისკვეთებით.

თეა ბაბუნაშვილი

მარგარინის წარმოშობის ისტორია...

მარგარინი _ წარმოადგენს კარაქის მსგავს საკვებ ცხიმეულს, რომელიც მზადდება სხვადასხვა სახეობის მოდიფიცირებული ცხოველური ცხიმისა და მცენარეული ზეთის ერთმანეთში შერევის შედეგად. სახელწოდება _ მარგარინი, ხმარებაში 1813 წლიდან შემოვიდა. სწორედ ამ წელს აღმოაჩინა გამოჩენილმა ფრანგმა ქიმიკოსმა და ორგანული ქიმიის სამეცნიერო ანალიზის მეთოდის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა _ მიშელ ეჟენ შევრიოლმა (1786-1889 წლები) _ "მარგარინის მჟავა". თავად სიტყვა _ მარგარინი, ბერძნული წარმოშობის მქონეა და მარგალიტს აღნიშნავს. თუმცა, საყურადღებოა, რომ მარგარინის მჟავას თანამედროვე მარგარინთან საერთო არაფერი გააჩნდა. მარგარინის მჟავის აღმოჩენიდან 50 წლის გასვლის შემდგომ, საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ უხვი ჯილდო აღუთქვა მას, ვინც საიმპერატორო არმიის ჯარისკაცების რაციონში მყოფი კარაქის საპირწონე პროდუქტს გამოიგონებდა. გარდა ამისა, იმპერატორისვე მოთხოვნით, ახალი პროდუქტით სარგებლობა უნდა შეძლებოდა არა მარტო ფრანგ ჯარისკაცებს, არამედ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებსაც. მალევე, ფრანგმა ქიმიკოსმა და გამომგონებელმა _ იპოლიტ მეჟე-მურიემ (1817-1880 წლები) წარმოადგინა პროდუქტი, სახელწოდებით _ "ოლეომარგარინი", რომელსაც შემდგომ სახელი შეუმოკლეს და მარგარინი უწოდეს. მეჟე-მურიეს გამოგონებულმა ახალმა პროდუქტმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ იგი უმალვე მიიღეს საფრანგეთის საიმპერატორო არმიის ჯარისკაცების საკვები რაციონის შემადგენლობაში. XIX საუკუნის დასასრულს მარგარინით დაინტერესება გამოხატეს ამერიკელმა ბიზნესმენებმა და იგი ამერიკულ ბაზარზეც შეიტანეს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მარგარინზე პატენტი არა მისმა შემქმნელმა და გამომგონებელმა _ იპოლიტ მეჟე-მურიემ, არამედ ერთ-ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა _ ჰენრი ბრედლიმ აიღო, რომელმაც თავის მხრივ იგი 1871 წლის 3 იანვარს დააპატენტა. მიუხედავად ამერიკულ ბაზარზე მარგარინის წარმატებულად გაყიდვისა, რიგი შტატების ადმინისტრაციებმა მათ გაყიდვაზე მაინც გარკვეული ლიმიტი დაწესეს (რომელთა ნაწილი დღემდე მოქმედებს). ამის მიზეზი კი გახლდათ ნატურალური რძის მწარმოებელი კომპანიები, რომელთა პროდუქტსაც ალტერნატიული პროდუქტის _ მარგარინის ბაზარზე გამოჩენით დიდი ფინანსური ზარალი მიადგა.

მარგარინის გაყიდვებმა განსაკუთრებულ წარმატებას _ პირველი მსოფლიო ომის წარმოებისას მიაღწია. ომმა მსოფლიო ბაზარზე ნატურალური რძის პროდუქტებით, მათ შორის კარაქის გაძვირება გამოიწვია. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ კარაქი სხვადასხვა დასავლური ქვეყნების მოქალაქეებმა მარგარინით ჩაანაცვლა. მეჟე-მურიეს მიერ გამოგონებული პროდუქტის წარმატება აშშ-ი განვითარებულამ "დიდმა დეპრესიის" პერიოდმაც განაპირობა, რადგან იგი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე კარაქი. მას შემდეგ მარგარინი ადამიანისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვებ პროდუქტად იქცა.

Genia. Ge

მილოცავთ!

თამაზ ნიკურაძეს!

დაბადების დღეს და კარს მომდგარ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ჩვენო თამაზ. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს, წარმატებებს გისურვებთ.

იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

ლიკა გოგიას!

გილოცავთ დაბადების დღესა და დამდეგ შობა-ახალ წელს. ბედნიერება, სიხარული გმეგზურობდეს ლამაზ ოჯახთან ერთად.

გფარავდეთ უფალი!

"სამტრედიის მაცნე"

ფერისცვალების ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ათანასეს (რუხაძე) და მის მრავალრიცხოვან ოჯახს დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ, ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გააძლიეროს ისინი!

ბეჭან გოგია

სულიკო კლდიაშვილს!

სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს და დამდეგ შობა-ახალ წელს! გაიხარე ჩვენო სულიკო ბიძია. ბედნიერს და ღიმილიანს გაგეთელოს შენეული პატიოსნებით, ვაჟკაცობით, ღირსებით, შრომისმოყვარეობით გაკვალული ცხოვრების გზა. იმ დიდ ოჯახს, დღემდე რომ შეუბღალავი სახელით მოვიდა, დიდხანს ჰყოლოდე ბურჯად და დამრიგებლად.

გვეიმედები!

პაპაშები

ბარბარე ფირცხალაიშვილს!

დაბადების დღეს ვულოცავთ პატარა გოგოს, ბაბუს რომ სტუმრობს რედაქციაში და სინათლითა და სიყვარულით ავსებს "სამტრედიის მაცნეს".

ბარბარე 5 წლის გახდა. 2018 წლის მიჯნაზე მხოლოდ სიკეთით, სიხარულით, ღიმილით სავსე ბავშვობა გვინდა ვუსურვოთ მას!

"სამტრედიის მაცნე"



ანასტასია ჟიჟიგურს!

ანასტასია დიდი სიხარულით ვიხსენებ იმ ახალი წლის ღამეს, როცა შენ დაიბადე. სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს.

ჩემო ლამაზო, თბილო, ჭკვიანო და ძალიან საყვარელო გოგო, ლამაზი და ფერადი დღეები გაგბევრებოდეს, ყველა ნატვრა აგსრულებოდეს. ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, ბედნიერი ბავშვობა და ნათელი მომავალი დაგბედებოდეს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ ჩემო ტასიკუნა.

შენი ეკანო

ლილე ერქვანიძეს!

დაბადების დღეს, ორი წლის შესრულებას და გაქრისტიანებას გილოცავ ჩემო ლამაზო და ძალიან საყვარელო ნათლულო! ნათლია-ნათლულობის მადლი ღირსეულად გვეტარებინოს ორივეს ერთად, ერთმანეთის იმედად. მინდა ბედნიერი, ჯანმრთელი და საამაყო გაიზარდო. ძალიან მიყვარხარ!

ანანო პაპავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა